სოციალური კვლევისა და ანალიზის
ინსტიტუტი

საქართველოს აზერბაიჯანული თემის საარჩევნო გარემოს შესწავლა

2014 წ.

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნა....3

კვლევის მეთოდოლოგია....14

1. ოჯახების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი....17

2. ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა....25

3. ურთიერთობები ოჯახში....28

4. მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები....31

5. პოლიტიკით დაინტერესება და ადგილობრივ სახელისუფლო ორგანოებთან თანამშრომლობა ..40

6. აზერბაიჯანულ თემში არსებული მწვავე პრობლემები....44

7. არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები....47

7.1. მნიშვნელოვანი ფაქტორები არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად და მათი უზრუნველყოფა....47

7.2. საარჩევნო პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები; მზაობა სამოქალაქო აქტიურობისთვის ხარვეზიანი არჩევნების შემთხვევაში....52

7.3. 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მიმართ დამოკიდებულება და ხმის მიცემის განმაპირობებელი ფაქტორები....56

7.4. ნდობა არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ჩართული ინსტიტუტების მიმართ....61

7.5. სხვადასხვა აქტივობების მნიშვნელოვნების შეფასება არჩევნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად; ასეთ აქტივობებში მონაწილეობა....62

7.6. საარჩევნო გარემოს დევიაციები....66

8. განწყობები და მოლოდინები საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით....69

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის **მიზანს** წარმოადგენდა საქართველოს აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის საარჩევნო პროცესში ჩართვის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა.

ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა საქართველოს აზერბაიჯანულ თემში, რომელმაც მოიცვა ორი რეგიონი: ქვემო ქართლი მთლიანად და კახეთის აზერბაიჯანულენოვანი სოფლები; რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) შესამუშავებლად (ემპირიული ინდიკატორების განსაზღვრისათვის) ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა მასობრივი გამოკითხვის გზით, პირისპირ ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით; სულ გამოიკითხა 800 რესპონდენტი (500 ქვემო ქართლში, 300 - კახეთში). კვლევა უზრუნველყოფს რეპრეზენტატულ მონაცემებს როგორც ამ ორი რეგიონის მთელი აზერბაიჯანული თემისთვის (შერჩევის ცდომილება 2.9%), ისე ცალკეული რეგიონები თემებისთვის (ქვემო ქართლის თემისთვის ცდომილებაა 3.7%, ხოლო კახეთის თემისთვის - 4.7%).

რესპონდენტთა შერჩევა მოხდა ოჯახებში შემთხვევითი შერჩევის მეთოდის (კერძოდ, კიშის ცხრილის) გამოყენებით.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2014 წლის ივნისის პირველ ნახევარში.

ქვემოთ წარმოადგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები:

სოციო-დემოგრაფიული პროფილი

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 802 აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი, აქედან 500 – კახეთში, ხოლო 302 – ქვემო ქართლში. რესპონდენტებს უნდა შეევსოთ მათი სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლების ბლოკი. კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა განაწილება სქესის მიხედვით თითქმის თანაბარია. კახეთის რეგიონში მეტი მამაკაცი გამოიკითხა, ხოლო ქვემო ქართლში – მეტი ქალი. რესპონდენტების მეხუთედი 25–35 წლისაა, მეხუთედი – 45–54 წლის. დაოჯახებულთა ხვედრითი წილი 73.1%–ს შეადგენს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამიზნე ჯგუფისთვის დამახასიათებელია გაფართოებული ოჯახები, რომლებშიც რამდენიმე თაობა ერთ შინამეურნეობაში ცხოვრობს. აქ ოჯახების საშუალო ზომა, რომელიც 4.4–ს შეადგენს, აღემატება საქართველოში ოჯახის საშუალო ზომას, რომელიც 3.6–ს უდრის.

გამოკითხულთაგან 45.6%–ს საშუალო განათლება აქვს, მეხუთედს – საბაზო, ხოლო მეათედს – დაწყებითი. უმაღლესი განათლება რესპონდენტების მხოლოდ 9.1%–ს აქვს. აღსანიშნავია, რომ წერა–კითხვის უცოდინარ, დაწყებითი კლასის და საბაზო განათლების მქონე რესპონდენტებში მდედრობითი სქესის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მეტია, ვიდრე მამრობითი სქესისა.

გამოკითხულთაგან უმრავლესობას საერთოდ არ აქვს პროფესია. აღმოჩნდა, რომ ქალთა 77.9%–ს არ აქვს პროფესია მაშინ, როდესაც მამაკაცთა 45.4%–ს არ აქვს პროფესია. პროფესიის არქონის მაჩვენებელი ქალებში 1.7–ჯერ აღემატება ამავე მონაცემს მამაკაცებში.

რაც შეეხება დასაქმების მდგომარეობას, გამოკითხულთა 38.1% უმუშევარია, 14.2%–დიასახლისი, 16.9%–პენსიონერი. საბოლოო ჯამში, დასაქმებულთა ხვედრითი წილი მხოლოდ 29.8%–ია (მათი ჩათვლით, ვისაც სეზონური სამუშაოები აქვს, ფერმერი ან თვითდასაქმებულია). დასაქმებულთაგან ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი თვითდასაქმებულებს აქვთ. აზერბაიჯანულ თემში უმუშევართა და პენსიონერთა რაოდენობა ქალებში მეტია, ვიდრე მამაკაცებში, თვითდასაქმებულთა რაოდენობა კი მამაკაცებში ბევრად აღემატება ქალებში თვითდასაქმებულთა მაჩვენებელს.

გამოკითხულთაგან თითქმის ყველა მიიჩნევს, რომ მათი მშობლიური ენა აზერბაიჯანულია. ქართული ენა საერთოდ არ იცის რესპონდენტების 41.8%–მა. 22.3%–ს ქართული ესმის, მეტყველებს, თუმცა წერა–კითხვა არ შეუძლია. მათი რაოდენობა, ვისაც ქართულად მეტყველება, წერა და კითხვა შეუძლია, მხოლოდ 16.3%–ს შეადგენს.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მუსლიმი შიიტია, მეოთხედი – მუსლიმი სუნიტი. 16.1% ამბობს, რომ არ არის მორწმუნე. მუსლიმი სუნიტების რაოდენობა კახეთში ბევრად მეტია, ვიდრე ქვემო ქართლში. მათი რაოდენობა კი, ვინც არ არის მორწმუნე, ქვემო ქართლში გამოკითხული რესპონდენტების თითქმის მეოთხედს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება კახეთის მონაცემებს.

ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა

როგორც ქვემო ქართლის, ისე კახეთის თემებში ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყაროებია: ნატურალური მეურნეობა. ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება და პენსია. ამასთან, ქვემო ქართლის თემში ნატურალური მეურნეობაა შემოსავლის წამყვანი წყარო (38.5%), ხოლო კახეთის თემში - ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება (30%-მდე).

საქართველოს აზერბაიჯანული თემის 29%-ის ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი 100-200 ლარია, 21%-ის - 201-300 ლარი, ხოლო 30%-ის შემოსავალი 300-ზე მეტ ლარს შეადგენს. კახეთის თემის ოჯახებს, მათივე შეფასებით, უფრო უკეთესი

მაჩვენებლები აქვს: კახეთში ყოველი მესამე აზერბაიჯანელი აცხადებს, რომ მათი ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავლი 300 ლარზე მეტია, მაშინ როცა ქვემო ქართლის რეგიონში ყოველი მესამე გამოკითხული ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავლად 100-200 ლარს ასახელებს.

საქართველოს აზერბაიჯანული თემის მესამედზე მეტი (37%) მათი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც „ძალიან მძიმეს“ და აღნიშნავს, რომ თანხა კვებაზეც არ ჰყოფნით; 40%-მდე ამბობს, რომ მათი შემოსავალი საკმარისია კვებისთვის, მაგრამ ვერ ახერხებენ ტანსაცმლის შეძენას. ქვემო ქართლის თემი კვლავ უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს, კახეთის თემთან შედარებით. ქვემო ქართლის აზრბაიჯანელების 42% აცხადებს, რომ მათ ოჯახს ძალიან უჭირს, თანხა კვებაზეც არ ჰყოფნით, ხოლო კახეთში იმავეს 29.5% აცხადებს.

ურთიერთობები ოჯახში

ქვემო ქართლის რეგიონში გავრცელებულია ქალების ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა. გამოკითხულ ქალთა 30% აცხადებს, რომ 14-17 წლის ასაკში დაქორწინდნენ, 34% - 18-20 წლის ასაკში. კაცების მხოლოდ 2.4% ამბობს, რომ 14-17 წლის ასაკში დაქორწინდა. ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ კახეთის რაიონებსა და ქვემო ქართლის რეგიონს შორის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ იკვეთება.

ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ კახეთის რაიონებში, ქვემო ქართლის რეგიონთან შედარებით, მეტადაა გავრცელებული მრავალშვილიანობის პრაქტიკა. ქვემო ქართლის რეგიონში, გამოკითხულთა 36% ამბობს, რომ 3-5 შვილი ჰყავთ, მაშინ როცა კახეთში გამოკითხულთა 50%-ს ჰყავს 3-5 შვილი.

საქართველოს აზერბაიჯანული თემის კაცების 40% ამბობს, რომ მხოლოდ ისინი გამოიმუშავებენ ფულს, მაშინ როცა ქალების 27% აცხადებს, რომ ფულს მხოლოდ მათი მეუღლეები გამოიმუშავებენ. იკვეთება, რომ კახეთის თემში ქალები უფრო მეტად არიან ეკონომიკურად დამოკიდებულნი მეუღლეებზე, ვიდრე ქვემო ქართლის თემში: კახეთში მცხოვრები ქალების 2.5% ამბობს, რომ მხოლოდ ისინი გამოიმუშავენე ფულს, მაშინ როცა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალების 10%-მდე ამბობს იმავეს.

მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები

აზერბაიჯანული თემი არჩევნების შესახებ ინფორმაციას, ძირითადად, ტელევიზიით, მეზობლებისა და მეგობრების ან ოჯახის წევრების საშუალებით იღებს. ქვემო ქართლის მოსახლეობა ორჯერ უფრო ხშირად იღებს ინფორმაციას ოჯახის წევრების საშუალებით, ვიდრე კახეთში გამოკითხულები, ხოლო ეს უკანასკნელები ორჯერ უფრო ხშირად იღებენ ინფორმაციას ტელევიზიით, ვიდრე ქვემო ქართლში გამოკითხულები.

სულ გამოკითხული 802 რესპონდენტიდან ტელევიზიით ინფორმაციას იღებს ნახევარზე მეტი, 411 რესპონდენტი. მათგან 30.5% ინფორმაციას არხიდან „რუსთავი 2“, ხოლო 29% – არხიდან „იმედი“ იღებს. 15.4% ყველაზე ხშირად ადგილობრივ ტელევიზიას, მარნეული TV-ს უყურებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელთა პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და მხოლოდ 7.3%–ს შეადგენს.

რესპონდენტთა უმრავლესობა ინფორმაციას არჩევნების შესახებ აზერბაიჯანულ ენაზე იღებს. მათი ხვედრითი წილი, ვინც ქართულად იღებს ინფორმაციას, 45%–ია. აღსანიშნავია ისიც, რომ კახეთში ინფორმაციას უფრო ხშირად იღებენ ქართულად და თურქულად, ვიდრე ქვემო ქართლში. ამ უკანასკნელში ინფორმაციის მიღების ძირითადი ენა აზერბაიჯანულია.

ქვემო ქართლსა და კახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას გამოკითხულთა უმრავლესობა საერთოდ არ იცნობს. დაახლოებით მეხუთედი აცხადებს, რომ მათ შესახებ ინფორმაცია მეტ–ნაკლებად აქვთ. რესპონდენტები მათ ქალაქში/რაიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, ძირითადად, ნეიტრალურად აფასებენ (20.4%). გამოკითხულთა უმრავლესობას გაუჭირდა არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება.

რესპონდენტების უმრავლესობას ასევე გაუჭირდა იმის შეფასებაც, თუ რამდენად ახდენენ გავლენას არასამთავრობო ორგანიზაციები მათ ქალაქში/რაიონში/რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. მეათედზე მეტმა აღნიშნა, რომ ასეთი ორგანიზაციების გავლენა მცირეა. მათ მნიშვნელოვან გავლენაზე რესპონდენტების მხოლოდ 8% საუბრობს.

საზოგადოებრივი პოლიტიკა და სახელმწიფო სტრუქტურები

პოლიტიკის დაინტერესების თვალსაზრისით ქვემო ქართლსა და კახეთის რაიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელ ქალებს შორის განსხვავება არ იკვეთება: ორივე შემთხვევაში პოლიტიკით დაინტერესების პროცენტული მაჩვენებელი დაბალია და 13-16%-ს შეადგენს. თუმცა, ქვემო ქართლსა და კახეთის რაიონებში მცხოვრები კაცების პოლიტიკის დაინტერესების მაჩვენებელი განსხვავდება. კერძოდ, პოლიტიკით დაინტერესებულია ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი კაცების 16%, მაშინ როცა კახეთის აზერბაიჯანული თემის კაცების 51% აცხადებს, რომ აინტერესებს პოლიტიკა.

დაახლოებით ყოველი მეორე გამოკითხული, როგორც ქვემო ქართლის, ისე კახეთის აზერბაიჯანული თემებიდან, მათი რეგიონების გუბერნატორის ოფისის საქმიანობასა და მოვალეობებს თითქმის არ იცნობენ. ორივე თემის რესპონდენტთა დაახლოებით 40%-თვის უცნობია, აგრეთვე, მათი რაიონების გამგეობებისა და საკრებულოების საქმიანობა. ყველაზე ცნობადი ინსტიტუტი ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურაში სოფლის რწმუნებული აღმოჩნდა (ორივე თემში კარგად იცნობს დაახლოებით 40%).

კახეთის თემში შედარებით მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებსაც ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის დონის შეფასება უჭირთ; მეორე მხრივ, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების საგრძნობლად მეტი რაოდენობა (კახეთთან შედარებით) მიუთითებს, რომ კარგად იცნობენ გუბერნატორის ოფისის, გამგეობებისა და საკრებულოების საქმიანობასა თუ მოვალეობებს.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ადგილობრივ დონეზე ***გადაწყვეტილების მიღების პროცესში აზერბაიჯანელი მოსახლეობის ჩართვის დონე დაბალია.*** ორივე რეგიონის თემებში გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (მერყეობს 38%-60%-ის ფარგლებში) აცხადებს, რომ თვიმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის შეხვედრები თითქმის არასოდეს იმართება არც ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების, არც რაიონის/ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის და არც სოციალური საკითხების მოგვარების თაობაზე.

ერთადერთი საკითხი, რომელშიც ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა, სხვა საკითხებთან შედარებით, მეტ-ნაკლებად აქტიურად თანამშრომლობს, არჩევნებთან დაკავშირებული თემებია.

ეს ნიშნავს, რომ საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა ***ვერ ახორციელებს ე.წ. „რეალურ თვითმმართველობას“ და წარმოადგენს პასიურ საარჩევნო ძალას, რომელთან კომუნიკაციაშიც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელები მხოლოდ საარჩევნო საკითხებთან მიმართებით შედიან.***

ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ თემს ადგილობრივ პოლიტიკაში მონაწილეობისა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობის უფრო პოზიტიური პრაქტიკა აღმოაჩნდა კახეთის თემთან შედარებით: მაგალითად, ქვემო ქართლში გამოკითხულთა 19%-მდე აცხადებს, რომ მიუღია მონაწილეობა (ხშირად ან სისტემატურად) რაიონის/ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით შეხვედრებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მაშინ როდესაც კახეთის თემში იგივეს მხოლოდ 5% ადასტურებს; აგრეთვე, ქვემო ქართლის მოსახლეობის 17.4% მიუთითებს სოციალური საკითხების მოგვარებაზე მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობაზე (ხშირად ან სისტემატურად), მაშინ როდესაც კახეთის თემში ამას მხოლოდ 6% აღნიშნავს და ა.შ.

აზერბაიჯანულ თემში არსებული მწვავე პრობლემები

როგორც ქვემო ქართლის, ისე კახეთის აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მწვავე პრობლემებია (Mean < 4-ზე, 5 ქულიან სკალაზე):

- სამუშაო ადგილების არარსებობა (Mean = 4.5)
- სპორტული წრეების არარსებობა (Mean = 4.4)

- სახელოვნებო წრეების არარსებობა (Mean = 4.4)
- გართობის კერები (კინო, თეატრი და სხვ.) (Mean = 4.3)
- საგანმანათლებლო-შემეცნებითი დაწესებულებები (ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვ.) (Mean = 4.3)
- სკოლამდელი დაწესებულებების (ბაგა-ბაღი) მუშაობა (Mean = 4.3)
- ფინანსების არსებობა (Mean = 4.2)

ეს აჩვენებს, რომ სამუშაო ადგილების არარსებობასა და ფინანსურ პრობლემებთან ერთად რეგიონის მოსახლეობისთვის განსაკუთრებულად მწვავე პრობლემას რეგიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა წარმოადგენს.

ორივე თემისთვის მოგვარებულ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება:

- ელექტროენერგიით მომარაგება (Mean = 2.6)
- პენსიების გაცემა (Mean = 2.7)
- საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული პრობლემები (Mean = 2.8)

აღმოჩნდა, რომ კახეთის აზერბაიჯანულ თემს გაცილებით ბევრი პრობლემა აქვს მოუგვარებელი ქვემო ქართლის თემთან შედარებით.

მნიშვნელოვანი ფაქტორები არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად და მათი უზრუნველყოფა

ორივე (ქვემო ქართლის და კახეთის) აზერბაიჯანული თემის რესპონდენტებმა გამოიყვეს *<u>პირადად მათთვის</u>* ყველაზე მნიშვნელოვანი 5 ფაქტორი არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად (თითოეული ფაქტორისთვის Mean≥ 4.4 ქულიან სკალაზე):

1. არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამების გაცნობა მშობლიურ ენაზე;
2. სამართლიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;
3. არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების სარეკლამო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და სხვ.) გავრცელება მშობლიურ ენაზე;
4. არჩევნებში დამკვირვებლებისთვის ხელის არშეშლა;
5. არჩევნების დღეს მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველყოფა.

გამოიკვეთა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი ორივე აზერბაიჯანული თემისთვის: რელიგიური ავტორიტეტების გავლენის შემცირება საარჩევნო პროცესებზე. ეს მიუთითებს, რომ *რელიგიური ავტორიტეტები აზერბაიჯანული თემისთვის, ამ თემის წევრების წარმოდგენით, არ ქმნიან საფრთხეს დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.*

აზერბაიჯანული თემის მნიშვნელოვანი ნაწილი (მინიმუმ მესამედი) აღნიშნავს, რომ მათ საცხოვრებელ ადგილას აღნიშნული ფაქტორები უზრუნველყოფილია. დამატებით, მესამედი მიუთითებს ამ ფაქტორების ნაწილობრივ უზრუნველყოფაზე.

თუმცა, გასათვალისწინებელია განსხვავება ქვემო ქართლის და კახეთის აზერბაიჯანულ თემებს შორის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთან მიმართებაში, როგორიცაა *არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების პროგრამების გაცნობა მშობლიურ ენაზე:* ქვემო ქართლის თემის 23.4% და კახეთის თემის 16.2% აცხადებს, რომ ეს ფაქტორი არ არის უზრუნველყოფილი მათ საცხოვრებელ ადგილას.

ამას გარდა, აზერბაიჯანული თემის საშუალოდ ყოველი მეოთხე წარმომადგენელი მიუთითებს საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ იმ ფაქტორებზე, რომლებიც **არ არის უზრუნველყოფილი** მათ საცხოვრებელ ადგილას:

- ცესკოს მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ;
- კანდიდატების ბიოგრაფიის და მათი ქონებრივი დეკლარაციის შესახებ ინფორმაცია.

საარჩევნო პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები; მზაობა სამოქალაქო აქტიურობისთვის ხარვეზიანი არჩევნების შემთხვევაში

აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა (25-33%-ის ფარგლებში) მიუთითეს ფაქტორებზე, რომლებიც, ***პირადად მათთვის, მნიშვნელოვან რისკის შემცველია, რათა ხელი შეეშალოს მათ სრულფასოვან ჩართვას საარჩევნო პროცესებში:***

- „არჩევნების შემდეგ ჩემი ოჯახის ცხოვრებაში არაფერი იცვლება სასიკეთოდ“;
- „არ მაქვს საშუალება მშობლიურ ენაზე გავეცნო არჩევნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას“;
- „არ მჯერა თავისუფალი არჩევნების, მისი შედეგებს, როგორც წესი, აყალბებენ“.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქვემო ქართლის და კახეთის აზერბაიჯანულ თემებს შორის: ქვემო ქართლის თემი გაცილებით მძაფრად აფასებს სამი დასახელებული რისკ-ფაქტორის უარყოფით ზეგავლენას საარჩევნო პროცესებში მათ სრულფასოვან ჩართვაზე. ეს აჩვენებს, რომ ***ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ თემში გაცილებით დიდი წინაღობები არსებობს საარჩევნო დემოკრატიის განვითარებისთვის, კახეთის თემთან შედარებით.***

ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემი (რომელიც საქართველოს აზერბაიჯანული თემის აბსოლუტურ უმრავლესობას (90%-მდე) წარმოადგენს) **ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ავლენს და პასიურია იმ შემთხვევისთვის, თუ არჩევნების სამართლიანად ჩატარებას საფრთხე დაემუქრება.** კერძოდ, ქვემო ქართლის თემში გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (67.4%) აცხადებს, რომ არაფერს მოიმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი შეეპარება არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში; იგივე პოზიცია კახეთის აზერბაიჯანული თემის 26.4%-ს აქვს. ამასთან, კახეთის თემის 21.7% აცხადებს, რომ ხელს მოაწერს პეტიციას არჩევნების ხელახლა ჩატარებასთან დაკავშირებით, ხოლო 16.7% სასამართლოში ჩივილის მზადყოფნას გამოთქვამს; ამგვარი სამოქალაქო აქტივობების მზაობა ქვემო ქართლის თემში მხოლოდ 3.2% და 1.8%-ს აქვს.

ეს მონაცემები მეტყველებს, რომ ***კახეთის აზერბაიჯანულ თემში გაცილებით მაღალია სამოქალაქო ცნობიერება და სამოქალაქო აქტივობა, ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ თემთან შედარებით (ყოველ შემთხვევაში, არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფის კონტექსტში).***

სხვადასხვა ფაქტორის მნიშვნელოვნება არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის მხარის დასაჭერად

გამოიკვეთა 5 ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი (Mean > 4-ზე, 5 ქულიან სკალაზე) არჩევნებში მონაწილე კანდიდატისთვის ხმის მისაცემად:

1. საარჩევნო დაპირებები
2. კანდიდატის საარჩევნო პროგრამა
3. კანდიდატის ბიოგრაფია, მისი წარსული გამოცდილება
4. რეგიონის/რაიონის სპეციფიკის ცოდნა
5. კანდიდატის პირდაპირი შეხვედრები ამომრჩევლებთან

დაბალი მნიშვნელობის ფაქტორად (Mean<3-ზე), რომელიც არ ახდენს კანდიდატის არჩევაზე გავლენას, რესპონდენტები მიიჩნევენ კანდიდატის ფინანსურ კეთილდღეობას (Mean = 2.7-ს). ე.წ. „მარგინალურ“ ფაქტორებად (საშუალო მაჩვენებელი ახლოა ნეიტრალურ პუნქტთან - 3) მიჩნეულია კანდიდატის ეთნიკური წარმომავლობა და კანდიდატის პარტიული კუთვნილება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ფაქტორს უფრო მეტი „წონა“ აქვს კახეთის თემში, ქვემო ქართლის თემთან შედარებით.

ნდობა არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ჩართული ინსტიტუტების მიმართ

აზერბაიჯანულ თემში ნდობის მაღალი მაჩვენებლებით (Mean ≥ 4-ზე, 5 ქულიან სკალაზე) სარგებლობს შემდეგი ინსტიტუტები/აქტორები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია
- საოლქო კომისია
- საუბნო კომისია
- საერთაშორისო დამკვირვებლები
- დამკვირვებლები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან

ნდობის შედარებით დაბალი მაჩვენებლები (თუმცა, არა უნდობლობის ველში გადასული) აქვთ:

- დამკვირვებლებს არჩევნებში მონაწილე პარტიებიდან (Mean = 3.7)
- ტექნიკურ–ადმინისტრაციულ პერსონალს საარჩევნო უბანზე – (Mean = 3.8)

კახეთის თემი არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ჩართულ ყველა აქტორს უფრო ნაკლებ ნდობას უცხადებს, ვიდრე ქვემო ქართლის თემი.

სხვადასხვა აქტივობების მნიშვნელოვნების შეფასება არჩევნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად; ასეთ აქტივობებში მონაწილეობა

როგორც კახეთის, ისე ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემების წარმომადგენლები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან აქტივობებად (Mean > 4-ზე, 5 ქულიან სკალაზე), არჩევნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მიიჩნევენ:

- შეხვედრები კანდიდატებთან;
- ფლაერებისა და ბუკლეტების დარიგება საარჩევნო პროცედურების შესახებ;
- სარეკლამო მასალა არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების შესახებ (სატელევიზო რგოლები, ბანერები ქუჩაში, პლაკატები და სხვ.);
- ახალგაზრდა ამომრჩეველის (რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში) ინფორმირება არჩევნებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით.

კახეთის და ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემები ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავდებიან არჩევნებთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით. კერძოდ, ***ქვემო ქართლის თემის დიდი უმრავლესობა (85.6%) არცხადებს, რომ არჩევნებთან დაკავშირებულ არცერთ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა***, მაშინ როდესაც კახეთის თემში ამას 36% აღნიშნავს.

კახეთის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში გამოიკვეთა ორი აქტივობა, რომლებშიც ეს თემი ჩართულია: 1. შეხვედრები კანდიდატებთან (23.9%) და 2. ფლაერებისა და ბუკლეტების გაცნობა საარჩევნო პროცედურების შესახებ (18%). ქვემო ქართლის თემში თითქმის ყველა ჩამოთვლილი აქტივობაში მონაწილეობის ხარისხი პრაქტიკულად ნულოვანია (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შეხვედრები არჩევნებში მონაწილე კანდიდატებთან. ამ აქტივობაში მონაწილეობას ადასტურებს ქვემო ქართლის თემის 9%-მდე).

საარჩევნო გარემოს დევიაციები

შედარებით უფრი გავრცელებულ საარჩევნო დევიაციებს (ორივე თემში) მიეკუთვნება:

- საარჩევო უბანზე აგიტაცია ამა თუ იმ კანდიდატის მხარდასაჭერად (მერყეობს 5 – 17%-ის ფარგლებში სხვადასხვა წლებში);
- მოქალაქეთა დაშინება (შანტაჟი) ამა თუ იმ კანდიდატის მხარდასაჭერად ან ხმის რამდენჯერმე მისაცემად (მერყეობს 4 – 11%-ის ფარგლებში სხვადასხვა წლებში)

კახეთის აზერბაიჯანული თემი უფრო ხშირად ასახელებს დევიაციის ცალკეულ შემთხვევებს, ვიდრე - ქვემო ქართლის.

საარჩევნო დარღვევების დინამიკა, მართალია, არარსებითად, მაგრამ კლებულობს 2010 წლიდან 2014 წლამდე (კლების დინამიკა მაქსიმუმ 6%-ს აღწევს).

განწყობები და მოლოდინები საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა და ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან, უნდა დაეფიქსირებინათ მათი დამოკიდებულებები საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით. გამოკითხულებს შეფასება უნდა განეხორციელებინათ ხუთ ბალიან სკალაზე, სადაც 5 ქულა ნიშნავდა „სრულიად ვეთანხმები“–ს, 1 ქულა – „საერთოდ არ ვეთანხმების“, ხოლო 3 ქულა მიუთითებდა ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე. ანალიტიკური დაჯგუფებისას გაერთიანდა პასუხები „საერთოდ არ ვეთანხმები“ და „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“ (შეფასების სკალაზე 1 და 2 ქულა), და „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და „სრულიად ვეთანხმები“ (შეფასების სკალაზე 4 და 5 ქულა).

შეფასების დადებით ველში, საერთო ჯამში, მხოლოდ ერთი დებულება აღმოჩნდა - „ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეობრივი მოვალეობაა“. ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტები ეთანხმებიან მოცემულ მოსაზრებას. შეფასების უარყოფით ველში (დებულებები, რომელთაც რესპონდენტები, ძირითადად, არ ეთანხმებიან) კი რამდენიმე დებულება მოხვდა:

- ✓ ვფიქრობ, რომ ხშირად გვჩაგრავენ ეთნიკურობის საფუძველზე, ხშირად ვაწყდებით უსამართლობას ჩვენი წარმომავლობისა და გვარის გამო (საშუალო – 1.8);
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში (საშუალო – 2.2);
- ✓ ხელისუფლება არ ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში (საშუალო – 2.4);
- ✓ ჩემი ხმა არჩევნებზე მაინც არაფერს შეცვლის (საშუალო – 2.4).

დანარჩენი დებულებების საშუალო მაჩვენებელი 2.5-3.5-ს შორის მერყეობს ანუ შეფასების საშუალო ველშია.

ქალ რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ის დებულებები, რომლებიც ეხებოდა ოჯახში გენდერული როლების გადანაწილებას საარჩევნო პროცესთან მიმართებით. გამოკითხულებს შეფასება უნდა განეხორციელებინათ ხუთ ბალიან სკალაზე, სადაც 5 ქულა ნიშნავდა „სრულიად ვეთანხმები"–ს, 1 ქულა – „საერთოდ არ ვეთანხმების", ხოლო 3 ქულა მიუთითებდა ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე. ანალიტიკური დაჯგუფებისას გაერთიანდა პასუხები „საერთოდ არ ვეთანხმები" და „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები" (შეფასების სკალაზე 1 და 2 ქულა), და „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები" და „სრულიად ვეთანხმები" (შეფასების სკალაზე 4 და 5 ქულა). აღმოჩნდა, რომ საშუალოების მიხედვით, შეფასების უარყოფით ველში სამი დებულება განაწილდა:

- ✓ არჩევნებზე იშვიათად დავდივარ, რადგან ჩემი ოჯახის პოლიტიკურ არჩევანს ჩემი მეუღლე (ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში) აფიქსირებს ხოლმე (საშუალო – 2.4);
- ✓ თუ საარჩევნო ბიულეტენში ჩემი მეუღლისგან (ან ოჯახის სხვა მამაკაცი წევრისგან) განსხვავებულ არჩევანს დავაფიქსირებ, ის გაბრაზდება (საშუალო – 2.3);
- ✓ ჩემი მეუღლე (ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში) იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვის უნდა მივცე ხმა არჩევნებზე (საშუალო – 2.3).

ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტები არ ეთანხმებიან მოცემულ დებულებებს. საშუალოების მიხედვით, შეფასების დადებით ველში კი არცერთი დებულება არ აღმოჩნდა, მათი საშუალო მაჩვენებელი 2.5-3.5-ს შორის მერყეობს, რაც შეფასების საშუალო ველია.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ***მიზანია*** ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა.

კვლევის ***ამოცანებია*** საარჩევნო გარემოს სიტუაციური შესწავლა და ანალიზი შემდეგი მიმართულებით:

- საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის დინამიკა;
- საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება(მათ შორის, ენობრივი, ტრადიციულ/რელიგიური ან სხვა ბარიერები);
- ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული საგანმანათლებლო ან სხვა ფორმატის ღონისძიებების ეფექტიანობა; აღნიშნული მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება;
- პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სამომავლო ინიციატივების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საჭიროებების გამოვლენა და სხვა.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ჩატარდა რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა, *კერძოდ, მასობრივი გამოკითხვა;* თუმცა, გამოყენებული იყო *თვისებრივი კვლევის* კომპონენტი, ფოკუს ჯგუფების სახით, რათა მომხდარიყო ემპირიული ინდიკატორების გამოვლენა.

სულ ჩატარდება 3 ფოკუს ჯგუფი: ა) ქვემო ქართლის რეგიონის აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობასთან (ქალაქ მარნეულში); ბ) კახეთის რეგიონის აზებაიჯანულენოვან მოსახლეობასთან (თელავის რაიონში) და გ) არჩევნების პრობლემატიკაზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან (თბილისში).

რაოდენობრივი კვლევა

კვლევის ***ობიექტს (გენერალური ერთობლიობას)*** წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის (18 წლის და მეტი) ეთნიკურად აზერბაიჯანულენოვანი ნაწილი, რომელიც კომპაქტურად ცხოვრობს საქართველოს ორ რეგიონში - ქვემო ქართლსა და კახეთში.

შერჩევითი ერთობლიობის **მოცულობა** მთლიანობაში შეადგენს 800 რესპონდენტს**.**

რაოდენობრივ კვლევაში (მასობრივ გამოკითხვაში) ***ინფორმაციის მოპოვების მეთოდი*** იყო *პირისპირ (face to face) ინტერვიუ.*

გამოკვლევისათვის გამოყენებულ იქნა *მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა* წინასწარი სტრატიფიკაციის გამოყენებით. შერჩევის ბაზას წარმოადგენდა საქართველოს 2002 წლის აღწერის სააღწერო უბნების სია.

გამოსაკვლევი ერთობლიობა დაიყო ორ რეგიონად: ქვემო ქართლი და კახეთი.

შერჩევის ფორმირების *პირველ ეტაპზე* შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა რეგიონებზე (ქვემო ქართლსა და კახეთზე) მათში ამომრჩევლების რაოდენობიდან კვადრატული ფესვის პროპორციულად.

თითოეული რეგიონი დაიყო სტრატებად (ტერიტორიულ და დემოგრაფიულ ერთეულებად). ტერიტორილ სტრატებს წარმოადგენს რეგიონებში შემავალი რაიონები. რეგიონისათვის გამოყოფილი კვოტები გადანაწილდა სტრატებში მათში ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად. ქვემო ქართლის რეგიონში დაიფარა თითქმის ყველა რაიონი (ექვსი რაიონი, თეთრი წყაროს გარდა), ხოლო კახეთის რეგიონში დაიფარა ეთნიკური აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული 3 რაიონი (საგარეჯოს, თელავისა და ლაგოდეხის).

დაკვირვებისათვის შერჩეულ ყოველ რაიონში შერჩევის მოცულობები გადანაწილდა რაიონის ქალაქისა და სოფლის დასახლებებზე მათში შერჩევის ცდომილების სანდო მაჩვენებლების გათვალისწინებით.

რაიონებში განისაზღვრა შერჩევის წერტილთა რაოდენობა იმ გაანგარიშებიდან, რომ ყოველ შერჩევის წერტილში უნდა ჩატარებულიყო ქალაქებში 6, ხოლო სოფლებში - 15 ინტერვიუ. ქალაქებში პირველად შერჩევის წერტილს წარმოადგენდა სააღწერო უბანი, ხოლო სოფლის დასახლებულ პუნქტებში - სოფელი.

ყოველ რაიონში, სააღწერო უბნების სიიდან, ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით, PPS მეთოდის გამოყენებით შემთხვევით შეირჩა პირველადი შერჩევის წერტილები.

შერჩევის წერტილებში ოჯახის შერჩევა განხორციელდა ე.წ. "შემთხვევითი ხეტიალის" მეთოდით. ოჯახებს შორის ინტერვალი (ბიჯი) განსხვავებულად განისაზღვრა ქალაქების კორპუსებისათვის (ყოველი მე-9 ოჯახი, ამასთან, კორპუსში არ გამოიკითხა სამზე მეტი რესპონდენტი), კერძო დასახლებებისათვის და სოფლებისათვის (ყოველი მე-5 ოჯახი). იმ შემთხვევაში, თუ, რაიმე მიზეზით, შეუძლებელი იყო ოჯახთან და რესპონდენტთან კავშირის დამყარება, ინტერვიუერი გადაადგილდებოდა ბიჯის დაცვით. ეს უზრუნველყოფს რესპონდენტების გაფანტულობას და საკვლევი ურბანული ცენტრების მაქსიმალურ მოცვას. დამატებით, ინტერვიუერებს მიეწოდათ შერჩევის გეოგრაფიული

წერტილები და გადაადგილების სივრცითი არეალი (ქუჩების და უბნების მიხედვით), რაც გამორიცხავს ერთსა და იმავე წერტილში განმეორებითი ვიზიტების შესაძლებლობას.

რაც შეეხება ოჯახებში რესპონდენტთა ამორჩევის წესს, შემთხვევითობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, გამოყენებულ იქნა ე.წ. ***კიშის ცხრილი*** (Kish Table). იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა შორის ამ პრინციპით შერჩეული პიროვნება კიშის ცხრილით გათვალისწინებულ რესპონდენტს არ შეესაბამებოდა, ინტერვიუერი გადადიოდა შემდეგ ოჯახზე და ასე მოძრაობდა მანამ, ვიდრე სასურველ რესპონდენტს არ იპოვიდა.

რეგიონებში შერჩევის მოცულობა და გამოკვლევაში მიღებული შეფასებების ცდომილებები (95%-იანი საიმედოობისათვის) მოცემულია ცხრილში #1:

ცხრილი #1:

	ინტერვიუ	**ცდომილება (95%)**
კახეთის თემი	300	5.6%
ქვემო ქართლის თემი	500	4.4%
აზერბაიჯანული თემი	800	3.5%

1. ოჯახების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 802 აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი, აქედან 500 – კახეთში, ხოლო 302 – ქვემო ქართლში. რესპონდენტებს უნდა შეევსოთ მათი სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლების ბლოკი. კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა განაწილება სქესის მიხედვით თითქმის თანაბარია. კახეთის რეგიონში მეტი მამაკაცი გამოიკითხა, ხოლო ქვემო ქართლში – მეტი ქალი. რესპონდენტების მეხუთედი 25–35 წლისაა, მეხუთედი – 45–54 წლის (იხ. დიაგრამა №1).

დიაგრამა № 1



დაოჯახებულთა ხვედრითი წილი 73.1%–ს შეადგენს, დაუოჯახებელთა რაოდენობა მცირეა (12.1%), ხოლო ქვრივი საერთო რაოდენობის მეათედზე მეტია (იხ.დიაგრამა №2).

დიაგრამა № 2



ოჯახების მესამედი 5 ან 6 წევრიანია, 30.8% – 3 ან 4 წევრიანი. ორ წევრიანი ოჯახების რაოდენობა შედარებით მცირეა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამიზნე ჯგუფისთვის დამახასიათებელია გაფართოებული ოჯახები, რომლებშიც რამდენიმე თაობა ერთ შინამეურნეობაში ცხოვრობს. აქ ოჯახების საშუალო ზომა, რომელიც 4.4–ს შეადგენს, აღემატება საქართველოში ოჯახის საშუალო ზომას, რომელიც 3.6–ს უდრის (იხ.დიაგრამა №3).

დიაგრამა №3



ოჯახის საშუალო ზომა (MEAN) - 4.42

გამოკითხულთაგან 45.6%–ს საშუალო განათლება აქვს, მეხუთედს – საბაზო, ხოლო მეათედს – დაწყებითი. უმაღლესი განათლება რესპონდენტების მხოლოდ 9.1%–ს აქვს. აღსანიშნავია, რომ წერა–კითხვის უცოდინარ, დაწყებითი კლასის და საბაზო განათლების მქონე რესპონდენტებში მდედრობითი სქესის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მეტია, ვიდრე მამრობითი სქესისა, როცა საშუალო ტექნიკური, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა შორის მამაკაცი მეტია, ვიდრე ქალი.

აღსანიშნავია, რომ მათი რაოდენობა, ვინც უმაღლესი განათლება მიიღო, ქვემო ქართლში უფრო მეტია, ვიდრე კახეთში. მათი რაოდენობა კი, ვინც საბაზო ან დაწყებითი განათლება მიიღო, კახეთში მეტია, ვიდრე ქვემო ქართლში (იხ. ცხრილი №2).

ცხრილი №2

განათლება	აზერბაიჯანული თემი	ქვემო ქართლი	კახეთი	მდედრობითი	მამრობითი
წერა-კითხვის უცოდინარი	4.2%	2.8%	6.6%	6.5%	2.0%
დაწყებითი (4 კლასის ჩათვლით)	10.7%	8.2%	14.9%	14.5%	6.9%
საბაზო (9 კლასის ჩათვლით)	20.8%	19.4%	23.2%	23.8%	17.9%
საშუალო (10-11 კლასი)	45.6%	49.0%	40.1%	43.1%	48.1%
პროფესიული	1.7%	1.8%	1.7%	1.0%	2.5%
საშუალო ტექნიკური	6.0%	6.2%	5.6%	3.8%	8.2%
არასრული უმაღლესი	1.1%	0.8%	1.7%	0.5%	1.7%
უმაღლესი	9.1%	11.6%	5.0%	6.0%	12.2%
სტუდენტი/აბიტურიენტი/მოსწავლე	0.4%	–	1.0%	0.3%	0.5%
სკოლაში არ უვლია, მაგრამ იცის წერა-კითხვა	0.2%	0.2%	0.3%	0.5%	–

გამოკითხულთაგან უმრავლესობას საერთოდ არ აქვს პროფესია. პროფესიის მქონეთაგან ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს, ხელოსნებსა და პედაგოგებს აქვთ.

მნიშვნელოვანია ის განსხვავებები, რაც პროფესიაში სქესის მიხედვით გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ ქალთა 77.9%–ს არ აქვს პროფესია მაშინ, როდესაც მამაკაცთა 45.4%–ს არ აქვს პროფესია. პროფესიის არქონის მაჩვენებელი ქალებში 1.7–ჯერ აღემატება ამავე მონაცემს მამაკაცებში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემია ისიც, რომ პედაგოგი და მომსახურების სფეროს წარმომადგენელი მამაკაცი მეტია, ვიდრე ქალი.

იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ პროფესია, ქვემო ქართლში მეტია, ვიდრე კახეთში. ხელოსნებისა და მუშების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია კახეთში, ვიდრე ქვემო ქართლში (იხ. ცხრილი №3).

ცხრილი №3

პროფესია	აზერბაიჯანული თემი	ქვემო ქართლი	კახეთი	მდედრობითი	მამრობითი
პედაგოგი	6.1%	7.2%	4.3%	4.8%	7.4%
ეკონომისტი	0.7%	1.2%	–	0.8%	0.7%
ექიმი	0.6%	0.8%	0.3%	0.3%	1.0%
იურისტი	0.5%	0.4%	0.7%	–	1.0%
ხელოვანი	0.9%	0.2%	2.0%	0.3%	1.5%
ხელოსანი/მუშა	11.0%	1.6%	26.5%	6.0%	15.9%
ექთანი/მედდა	1.2%	1.4%	1.0%	2.0%	0.5%
აგრონომი	0.2%	0.4%	–	–	0.5%
ინჟინერი	1.4%	1.6%	1.0%	0.5%	2.2%
მომსახურების სფერო	12.2%	11.8%	12.9%	5.8%	18.6%
სხვასოციალური მეცნიერებები	0.6%	1.0%	–	0.3%	1.0%
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	0.5%	0.8%	–	0.8%	0.2%
სხვა გამოყენებითი მეცნიერებები	1.0%	1.4%	0.3%	0.8%	1.2%
იმამი	0.1%	–	0.3%	–	0.2%
უარი პასუხზე	1.2%	0.8%	2.0%	–	2.5%
არ აქვს პროფესია	61.6%	69.4%	48.7%	77.9%	45.4%

რაც შეეხება დასაქმების მდგომარეობას, გამოკითხულთა 38.1% უმუშევარია, 14.2%–დიასახლისი, 16.9%–პენსიონერი. საბოლოო ჯამში, დასაქმებულთა ხვედრითი წილი მხოლოდ 29.8%–ია (მათი ჩათვლით, ვისაც სეზონური სამუშაოები აქვს, ფერმერი ან თვითდასაქმებულია). დასაქმებულთაგან ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი თვითდასაქმებულებს აქვთ.

აზერბაიჯანულ თემში უმუშევართა და პენსიონერთა რაოდენობა ქალებში მეტია, ვიდრე მამაკაცებში, თვითდასაქმებულთა რაოდენობა კი მამაკაცებში ბევრად აღემატება ქალებში თვითდასაქმებულთა მაჩვენებელს (იხ. ცხრილი №4).

ცხრილი №4

დასაქმების მდგომარეობა	აზერბაიჯანული თემი	მდედრობითი	მამრობითი
სახელმწიფო სექტორში დასაქმებული	4.6%	3.5%	5.6%
კერძო ლიცენზირებულ ბიზნესში დასაქმებული	2.5%	1.2%	3.6%
თვითდასაქმებული	12.4%	3.5%	20.5%
აქვს საკუთარი ლიცენზირებული ბიზნესი	0.2%	–	0.4%
ფერმერი	0.8%	0.5%	1.1%
ეწევა სამეწარმეო საქმიანობას	1.6%	2.2%	1.1%
არასამთავრობო სექტორში დასაქმებული	0.1%	–	0.2%
პენსიონერი	16.9%	21.8%	12.5%
სტუდენტი, აბიტურიენტი ან მოსწავლე	0.2%	0.2%	0.2%
უმუშევარი	38.1%	35.9%	40.2%
დიასახლისი (არასაპენსიო ასაკის)	14.2%	29.0%	0.9%
პერიოდული, სეზონური ან ერთჯერადი სამუშაოები	7.5%	1.5%	12.9%
უარი პასუხზე	0.7%	0.2%	–

გამოკითხულთაგან თითქმის ყველა მიიჩნევს, რომ მათი მშობლიური ენა აზერბაიჯანულია. ქართული ენა საერთოდ არ იცის რესპონდენტების 41.8%–მა. 22.3%–ს ქართული ესმის, მეტყველებს, თუმცა წერა–კითხვა არ შეუძლია. მათი რაოდენობა, ვისაც ქართულად მეტყველება, წერა და კითხვა შეუძლია, მხოლოდ 16.3%–ს შეადგენს.

გამოიკვეთა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 54.4%–ს საერთოდ არ შეუძლია ქართულად მეტყველება, წერა, კითხვა და გაგება. აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება იმ მამაკაცთა პროცენტულ მაჩვენებელს, რომელთაც ასევე არ იციან ქართული ენა (29.3%). შესაბამისად, მათი რაოდენობა, ვისაც კარგად მეტყველება, წერა და კითხვა შეუძლია ან ქართული ესმის, მეტყველებს, თუმცა წერა–კითხვა არ შეუძლია, მამაკაცებში მეტია, ვიდრე ქალებში (იხ. დიაგრამა №4).

დიაგრამა №4



მათი რაოდენობა, ვინც ქართული კარგად იცის ან ესმის, მეტყველებს, თუმცა წერა–კითხვა არ შეუძლია, გაცილებით მეტია კახეთში, ვიდრე ქვემო ქართლში. შესაბამისად, მათი რაოდენობა, ვინც საერთოდ არ იცის ქართული, თითქმის სამჯერ მეტია ქვემო ქართლში, ვიდრე კახეთში (იხ. დიაგრამა №5).

დიაგრამა №5



გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მუსლიმი შიიტია, მეოთხედი – მუსლიმი სუნიტი. 16.1% ამბობს, რომ არ არის მორწმუნე. მუსლიმი სუნიტების რაოდენობა კახეთში ბევრად მეტია, ვიდრე ქვემო ქართლში. მათი რაოდენობა კი, ვინც არ არის მორწმუნე, ქვემო ქართლში გამოკითხული რესპონდენტების თითქმის მეოთხედს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება კახეთის მონაცემებს (იხ. დიაგრამა №6).

დიაგრამა №6



ამოკითხულთა 27.7% არასდროს დადის მეჩეთში, ამდენივე – არასდროს ლოცულობს, თითქმის მესამედი კი არასდროს მარხულობს. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ რელიგიურ აქტივობებში, არ აღემატება 17%–ს, ხოლო მათი რაოდენობა, რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ ასეთ აქტივობებში, 10%–ზე ნაკლებია (იხ. ცხრილი №5).

ცხრილი №5

რამდენად ხშირად მონაწილეობთ რელიგიურ აქტივობებში?	არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	სისტემატიურად	უარი პასუხზე
მეჩეთში სიარული	27.7%	20.8%	20.0%	12.3%	8.4%	10.8%
ლოცვა	27.7%	20.4%	15.7%	16.1%	8.6%	11.5%
მარხვა	31.2%	19.1%	16.7%	11.8%	9.6%	11.6%
სხვა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა	43.8%	15.1%	11.1%	6.7%	6.4%	17.0%

2. ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა

ქვემო ქართლის რეგიონში აზერბაიჯანელი ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო ნატურალური მეურნეობაა. რესპონდენტები შემთხვევათა 38.5%-ში შემოსავლის წყაროდ მათ მიერ მოწეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ასახელებენ. შემთხვევათა 26.5%-ში შემოსავლის ძირითად წყაროდ პენსია სახელდება, ხოლო 20%-ში - ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება. შემოსავლის ეს წყაროებია ძირითადი კახეთის აზერბაიჯანული თემისთვისაც; თუმცა, ამ ჯგუფში იცვლება თითოეული წყარის ხვედრითი წილები (ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება - 29.9%; პენსია - 23.7% და ოჯახის მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია - 22.4%).

საქართველოს აზერბაიჯანულ თემში ქალებისა და კაცების მონათხრობი მკვეთრად განსხვავდება ისეთ საკითხთან მიმართებით, როგორიცაა ოჯახში მთავარი შემომტანის დასახელება. კაცების 43% აცხადებს, რომ ოჯახში მთავარი შემომტანები თავად არიან; მაშინ როდესაც ქალების 27% ამბობს, რომ ოჯახში მთავარი შემომტანები არიან კაცები. მსგავსი სურათი იკვეთება ოჯახში მთავარ შემომტანად ქალის დასახელებასთან მიმართებითაც: ქალების 15.5% ამბობს, რომ ოჯახში მთავარი შემომტანები თავად არიან. ხოლო კაცების 4.5% ამბობს, რომ ოჯახში მთავარი შემომტანები მათი მეუღლეები არიან (იხ. ცხრილი #6):

ცხრილი #6

ვინ არის ოჯახში მთავარი შემომტანი	სქესი	
	მდედრობითი	მამრობითი
თქვენ	15,5%	43,2%
მეუღლე	26,8%	4,5%
თქვენ და მეუღლე თანაბრად	16,0%	18,1%
თქვენი ან მეუღლის მშობლები	5,0%	7,4%
თქვენი შვილები	9,5%	3,0%
სხვა ნათესავები	2,8%	4,0%
ძირითადი შემოსავალი პენსია/სახელმწიფო სოციალური დახმარებაა	18,5%	9,4%
უარი პასუხზე	1,3%	3,0%
არავინ	4,5%	7,4%
სულ	100,0%	100,0%

საინტერესოა განსხვავება კახეთის და ქვემო ქართლის თემებს შორის: კახეთის აზერბაიჯანული თემის კაცების უმრავლესობა (57%) აცხადებს, რომ ოჯახში მთავარი შემომტანები თავად არიან, მაშინ როცა ქვემო ქართლის რეგიონში კაცების მხოლოდ 32% ამბობს, რომ მთავარი შემომტანები არიან (იხ. ცხრილი #7):

ცხრილი #7:

ვინ არის ოჯახში მთავარი შემომტანი	მდედრობითი		მამრობითი	
	ქვემო ქართლი	კახეთი	ქვემო ქართლი	კახეთი
თქვენ	14,1%	18,9%	32,3%	56,7%
მეუღლე	23,5%	34,4%	5,8%	2,8%
თქვენ და მეუღლე თანაბრად	18,4%	10,70%	21,10%	14,40%
თქვენი ან მეუღლის მშობლები	4,0%	7,4%	8,1%	6,7%
თქვენი შვილები	9,4%	9,8%	2,2%	3,9%
სხვა ანთესავები	3,6%	0,8%	6,7%	0,6%
ძირითადი შემოსავალი პენსია/სახელმწიფო სოციალური დახმარებაა	23,5%	7,4%	14,8%	2,8%
უარი პასუხზე	0,4%	3,3%	0,9%	5,6%
არავინ	3,2%	7,4%	8,1%	6,7%

საქართველოს აზერბაიჯანული თემის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა 29%-ის ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი 100-200 ლარია. 21% ამბობს, რომ 201-300 ლარი. ხოლო, გამოკითხულთა 30%-ის შემოსავალი 301 და 301 ლარზე მეტს შეადგენს. კახეთის ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში რესპონდენტთა ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე ქვემო ქართლის რეგიონში. კახეთში ყოველი მესამე ეთნიკურად აზერბაიჯანელი აცხადებს, რომ მათი ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავლი 301 ლარს და მეტს შეადგენს, მაშინ როცა ქვემო ქართლის რეგიონში ყოველი მესამე ადამიანი ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 100-200 ლარია (იხ.ცხრილი #8):

ცხრილი #8:

ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
100 ლარზე ნაკლები	0.6%	2.0%	1.1%
100 -200 ლარი	32.8%	23.5%	29.3%
201 -300 ლარი	22.4%	19.2%	21.2%
301 ლარი და მეტი	28.4%	32.8%	30.0%
77 უარი პასუხზე	1.2%	8.6%	4.0%
88 ოჯახს შემოსავალი საერთოდ არ აქვს	2.8%	2.3%	2.6%
99 მიჭირს პასუხის გაცემა	11.8%	11.6%	11.7%

აზერბაიჯანული თემის ყოველ მესამე ადამიანზე მეტი (37%) მათი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც ძალიან გაჭირვებულს და აღნიშნავს, რომ თანხა კვებაზეც არ ჰყოფნით. გამოკითხულთა 38% ამბობს, რომ მათი შემოსავალი საკმარისია კვებისთვის, მაგრამ ვერ ახერხებენ ტანსაცმლის შეძენას. რესპონდენტთა შეფასებებიდან იკვეთება, რომ ქვემო ქართლის რეგიონში ოჯახები უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომრეობაში არიან, ვიდრე კახეთის ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში. ქვემო ქართლში რესპონდენტთა 42% აცხადებს, რომ მათ ოჯახს ძალიან

უჭირს, თანხა კვებაზეც არ ჰყოფნით, მაშინ როცა კახეთში 29.5% აცხადებს იმავეს (იხ.ცხრილი #9):

ცხრილი #9

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
ძალიან გვიჭირს, თანხა კვებაზე არ გვყოფნის	41.6%	29.5%	37.0%
ჩვენი შემოსავალი საკმარისია კვებისათვის, მაგრამ ვერ ვახერხებთ ტანსაცმლის შეძენას	47.6%	21.2%	37.7%
ჩვენი შემოსავალი კვებასა და ჩაცმას უზრუნველყოფს, მაგრამ ძვირადღირებული ნივთების შესაძენად (ტელევიზორი, მაცივარი) ფული არ გვყოფნის	8.6%	20.5%	13.1%
ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ გრძელვადიანი საქონელი უპრობლემოდ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია უძრავი ქონების - ბინა, კოტეჯი – შეძენა	1.2%	9.6%	4.4%
ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ უძრავი ქონებაც - ბინა, კოტეჯი და ა.შ.		2.6%	1.0%
უარი პასუხზე	0.2%	9.3%	3.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	0.8%	7.3%	3.2%

3. ურთიერთობები ოჯახში

ქვემო ქართლის რეგიონში გავრცელებულია ქალების ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა. გამოკითხულ ქალთა 30% აცხადებს, რომ 14-17 წლის ასაკში დაქორწინდნენ. 34% ამბობს, რომ - 18-20 წლის ასაკში. გამოკითხული კაცების მხოლოდ 2.4% ამბობს, რომ 14-17 წლის ასაკში დაქორწინდნენ. ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ კახეთის რაიონებსა და ქვემო ქართლის რეგიონს შორის ქალების ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკის გავრცელების თვალსაზრისით განსხვავება არ იკვეთება (იხ. ცხრილი ##10,11):

ცხრილი #10

რომელ ასაკში დაქორწინდით ან დაიწყეთ სტაბილურ პარტნიორთან თანაცხოვრება?	სქესი	
	მდედრობითი	**მამრობითი**
14-17 წლის	30,0%	2,4%
18-20 წლის	34,1%	24,0%
21-24 წლის	16,2%	36,2%
25-30 წლის	5,7%	27,2%
>30 წლის	1,1%	3,3%
უარი პასუხზე	3,2%	1,5%
მიჭირს პასუხის გაცემა	9,7%	5,4%

ცხრილი #11

რომელ ასაკში დაქორწინდით ან დაიწყეთ სტაბილურ პარტნიორთან თანაცხოვრება?	**ქვემო ქართლის თემი**	**კახეთის თემი**	**აზერბაიჯანული თემი**
14-17 წლის	18.4%	14.4%	16.9%
18-20 წლის	24.5%	37.1%	29.3%
21-24 წლის	24.1%	28.4%	25.7%
25-30 წლის	17.3%	13.6%	15.9%
>30 წლის	3.0%	0.8%	2.1%
უარი პასუხზე	1.4%	4.2%	2.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	11.4%	1.5%	7.7%

საქართველოს აზერბაიჯანული თემისა 49%-ს ერთი ან ორი შვილი ჰყავს. 41%-ს - 3-5 შვილი; 5-ზე მეტი შვილი გამოკითხულთა მხოლოდ 2%-ს ჰყავს. ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ კახეთის რაიონებში, ქვემო ქართლის რეგიონთან შედარებით, მეტადაა გავრცელებული მრავალშვილიანობის პრაქტიკა. ქვემო ქართლის რეგიონში, გამოკითხულთა 36% ამბობს, რომ 3-5 შვილი ჰყავთ, მაშინ როცა კახეთში გამოკითხულთა 50%-ს ჰყავს 3-5 შვილი.

რესპონდენტებს შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში საკუთარი ეთნიკური წარმოშობის (აზერბაიჯანელი) მეუღლე ჰყავთ.

რესპონდენტებს 5 ბალიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ მათ ამჟამინდელ მეუღლესთან/სტაბილურ პარტნიორთან ურთიერობა, სადაც 1 ნიშნავს „ძალზე ცუდს“, ხოლო 5 – „ძალზე კარგს“.

თანაცხოვრების შეფასებისას ქალებისა და კაცების დამოკიდებულებები პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ორივე ჯგუფში 89% მათ ამჟამინდელ მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრებას აფასებს, როგორც „კარგს“ ან „ძალზე კარგს“ (იხ. ცხრილი ##12,13):

ცხრილი #12

5 ბალიან სკალაზე რა შეფასებას მისცემდით თქვენს ამჟამინდელ მეუღლესთან/სტაბილურ პარტნიორთან თანაცხოვრებას?	მდედრობითი	მამრობითი
1-ძალიან ცუდი	0,4%	0,3%
2	0,4%	1,6%
3	10,0%	9,5%
4	18,8%	21,6%
5-ძალიან კარგი	70,5%	67,0%

ცხრილი #13

5 ბალიან სკალაზე რა შეფასებას მისცემდით თქვენს ამჟამინდელ მეუღლესთან/სტაბილურ პარტნიორთან თანაცხოვრებას?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
1-ძალიან ცუდი	0.6%		0.3%
2	0.3%	2.2%	1.0%
3	6.1%	15.6%	9.7%
4	18.5%	23.2%	20.3%
5-ძალიან კარგი	74.6%	58.9%	68.6%

საქართველოს აზერბაიჯანული თემის ყოველი მესამე ქალი ამბობს, რომ ის და მისი მეუღლე დაახლოებით ერთი და იმავე რაოდენობის თანხას გამოიმუშავებენ. კაცების 31% აცხადებს ამავეს. კაცების 40% ამბობს, რომ მხოლოდ ისინი გამოიმუშავებენ ფულს, მაშინ როცა ქალების 27% აცხადებს, რომ ფულს მხოლოდ მათი მეუღლეები გამოიმუშავებენ. იკვეთება, რომ კახეთის ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში ქალები უფრო მეტად არიან ეკონომიკურად დამოკიდებულნი მეუღლეებზე, ვიდრე ქვემო ქართლის რეგიონში. კახეთში რაიონებში მცხოვრები ქალების 2.5% ამბობს, რომ მხოლოდ ისინი გამოიმუშავენე ფულს, მაშინ როცა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალების 9.5% ამბობს იმავეს (იხ. ცხრილი ##14,15):

ცხრილი #14:

ვინ უფრო მეტ თანხას გამოიმუშავებს - თქვენ თუ თქვენი მეუღლე/პარტნიორი?	მდედრობითი	მამრობითი
დაახლოებით ერთსა და იმავე რაოდენობის თანხას გამოვიმუშავებთ	33,9%	30,5%
მხოლოდ მე გამოვიმუშავებ	7,4%	39,7%
მხოლოდ ის გამოიმუშავებს	26,6%	2,5%
მე გამოვიმუშავებ მეტს	1,5%	9,8%
ის გამოიმუშავებს მეტს	11,4%	0,6%
უარი პასუხზე	1,5%	-
არცერთი არ ვმშაობთ	13,3%	14,3%
მიჭირს პასუხის გაცემა	4,4%	2,5%

ცხრილი #15:

ვინ უფრო მეტ თანხას გამოიმუშავებს - თქვენ თუ თქვენი მეუღლე/პარტნიორი?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
დაახლოებით ერთსა და იმავე რაოდენობის თანხას გამოვიმუშავებთ	39.0%	21.0%	32.1%
მხოლოდ მე გამოვიმუშავებ	21.3%	30.4%	24.7%
მხოლოდ ის გამოიმუშავებს	16.6%	8.9%	13.7%
მე გამოვიმუშავებ მეტს	4.4%	8.5%	6.0%
ის გამოიმუშავებს მეტს	3.0%	9.8%	5.6%
უარი პასუხზე		1.8%	0.7%
არცერთი არ ვმშაობთ	14.1%	13.4%	13.8%
მიჭირს პასუხის გაცემა	1.7%	6.3%	3.4%

ქალების 42% აცხადებს, რომ მატერიალურად სრულიად დამოკიდებულნი არიან მეუღლეზე.

ცხრილი #16

ხართ თუ არა მატერიალურად დამოკიდებული თქვენს მეუღლეზე/პარტნიორზე?	მდედრობითი	მამრობითი
სრულიად დამოკიდებული ვარ	42,1%	49,5%
მეტ-ნაკლებად დამოკიდებული ვარ	21,0%	8,6%
მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ვარ	10,0%	9,8%
სრულიად დამოუკიდებელი ვარ	8,9%	16,2%
უარი პასუხზე	3,3%	4,4%
მიჭირს პასუხის გაცემა	14,8%	11,4%

ცხრილი #17

ხართ თუ არა მატერიალურად დამოკიდებული თქვენს მეუღლეზე/პარტნიორზე?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
სრულიად დამოკიდებული ვარ	48.9%	41.5%	46.1%
მეტ-ნაკლებად დამოკიდებული ვარ	15.2%	12.9%	14.3%
მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ვარ	9.1%	11.2%	9.9%
სრულიად დამოუკიდებელი ვარ	10.2%	17.0%	12.8%
უარი პასუხზე	2.2%	6.7%	3.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	14.4%	10.7%	13.0%

4. მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები

აზერბაიჯანული თემი არჩევნების შესახებ ინფორმაციას, ძირითადად, ტელევიზიით, მეზობლებისა და მეგობრების ან ოჯახის წევრების საშუალებით იღებს. ქვემო ქართლის მოსახლეობა ორჯერ უფრო ხშირად იღებს ინფორმაციას ოჯახის წევრების საშუალებით, ვიდრე კახეთში გამოკითხულები, ხოლო ეს უკანასკნელები ორჯერ უფრო ხშირად იღებენ ინფორმაციას ტელევიზიით, ვიდრე ქვემო ქართლში გამოკითხულები. ამასთანავე, ქვემო ქართლში ბუკლეტები და ფლაერები გაცილებით ხშირადაა ინფორმაციის წყარო, ვიდრე კახეთში. მათი რაოდენობა, ვინც საერთოდ არ იღებს ინფორმაციას არჩევნების შესახებ, კახეთთან შედარებით, ქვემო ქართლში მეტია (იხ. ცხრილი №18 და დიაგრამა №7).

ცხრილი №[1]18

რა არის თქვენთვის არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო?	**აზერბაიჯანული თემი**		**ქვემო ქართლი (=100%)**	**კახეთი (=100%)**
	<100%	**=100%**		
თანამშრომლები	3.4%	1.8%	1.7%	1.9%
ოჯახის წევრები	37.7%	20.2%	24.7%	12.8%
მეზობლები, მეგობრები	49.6%	26.6%	28.5%	23.6%
ინტერნეტი	1.6%	0.9%	0.6%	1.2%
ჟურნალ-გაზეთები	1.6%	0.9%	1.2%	0.4%
რადიო	6.2%	3.3%	-	8.8%
ტელევიზია	51.2%	27.5%	19.1%	41.1%
ბუკლეტები, ფლაერები	13.0%	7.0%	10.4%	1.4%
არასამთავრობო ორგანიზაციები	0.6%	0.3%	0.2%	0.5%
ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო)	0.2%	0.1%	0.1%	0.2%
საკუთრივ პოლიტიკური პარტიები	7.6%	4.1%	5.2%	2.3%
არჩევნების შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ვიღებ	10.7%	5.8%	8.2%	1.8%
მიჭირს პ/გ	2.9%	1.5%	-	4.0%

[1]აღნიშნული კითხვაზე რესპონდენტებს სამი პასუხის გაცემა შეეძლოთ, რაც ნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთზე მეტი ინფორმაციის წყარო დასახელდა. ცხრილზე ასახულია როგორც <100%–ზე დათვლილი, ასევე 100%–ზე დაყვანილი შედეგები.

დიაგრამა №7



სულ გამოკითხული 802 რესპონდენტიდან ტელევიზიით ინფორმაციას იღებს ნახევარზე მეტი, 411 რესპონდენტი. მათგან 30.5% ინფორმაციას არხიდან „რუსთავი 2“, ხოლო 29% – არხიდან „იმედი“ იღებს. 15.4% ყველაზე ხშირად ადგილობრივ ტელევიზიას, მარნეული TV-ს უყურებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელთა პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და მხოლოდ 7.3%–ს შეადგენს.

მათ, ვინც ტელევიზიას ასახელებს არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ–ერთ წყაროდ, უნდა შეეფასებინათ აღნიშნული ტელევიზიების მიმართ ნდობის ხარისხიც. აღმოჩნდა, რომ ტელევიზიების მიმართ ნდობის ხარისხი დაბალია. ტელეკომპანია „იმედს“ 19.5% ენდობა, „მარნეული თV”-ს – 18.8%, ხოლო „რუსთავი 2–ს“ – 18.2%. იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომელიც არცერთ ტელევიზიას ენდობა, 7.6%–ია. გამოკითხულთაგან 16.9%–ს გაუჭირდა დაესახელებინა ისეთი არხი, რომელიც მის ნდობას იმსახურებდა (იხ. დიაგრამა №8).

დიაგრამა №8



რეგიონების მიხედვით მონაცემების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ კახეთში ყველაზე ხშირად რუსთავი ორსა და იმედს უყურებენ, ხოლო ქვემო ქართლში - მარნეული TV-ს. მსგავსია შედეგები ნდობის მიხედვითაც - კახეთში გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი ვერ ასახელებს იმ ტელევიზიას, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობა, ხოლო დანარჩენები რუსთავი ორს და იმედს ენდობიან. ქვემო ქართლის მოსახლეობა ყველაზე მეტად მარნეული TV-ს ენდობა (იხ. ცხრილი №19).

ცხრილი №19

თუ ტელევიზიით იღებთ ინფორმაციას არჩევნების შესახებ, რომელი არხია თქვენთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო?	ინფორმაციის წყარო		ნდობა	
	ქვემო ქართლი	კახეთი	ქვემო ქართლი	კახეთი
აჭარის ტელევიზია	-	3.3%	-	0.7%
საზოგადოებრივი მაუწყებელი	3.8%	9.3%	2.5%	3.3%
რუსთავი 2	16.6%	38.5%	12.9%	22.1%
იმედი	20.4%	33.9%	17.4%	21.0%
კავკასია	1.1%	0.9%	-	0.4%
მაესტრო	2.3%	8.0%	1.0%	7.0%
ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია - IV არხი	1.9%	0.2%	2.0%	-
ბოლნელი	9.4%	-	6.5%	-
მარნეული TV	42.3%	-	44.3%	-

თუ ტელევიზიით იღებთ ინფორმაციას არჩევნების შესახებ, რომელი არხია თქვენთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო?	ინფორმაციის წყარო		ნდობა	
	ქვემო ქართლი	კახეთი	ქვემო ქართლი	კახეთი
TRT	-	4.3%	-	4.4%
ORT და სხვა რუსული არხები	-	0.4%	-	0.4%
ხაზარი	-	0.2%	-	-
ჯანალ TV	0.4%	-	0.5%	-
AZTV	0.4%	-	0.5%	-
TV3	0.4%	-	-	-
არცერთს არ ვენდობი			5.5%	9.2%
უარი პასუხზე	0.4%	0.2%	4.5%	4.0%
მიჭირს პასუხის გაცემა	0.8%	0.7%	2.5%	27.6%

რადიოს არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ–ერთ ძირითად წყაროდ რესპონდენტთა 6.2% ასახელებს (50 რესპონდენტი). რადიოს მსმენელები მხოლოდ კახეთში დაფიქსირდნენ. ისინი, ძირითადად, რადიო „ჰერეთს“ და „იმედს“ უსმენენ. რაც შეეხება ნდობის ხარისხს, რადიოს მსმენელები, ძირითადად, რადიო „ჰერეთს“ ან რადიო „იმედს“ ენდობიან (იხ. დიაგრამა №9).

დიაგრამა №9



რესპონდენტთა უმრავლესობა ინფორმაციას არჩევნების შესახებ აზერბაიჯანულ ენაზე იღებს. მათი ხვედრითი წილი, ვინც ქართულად იღებს ინფორმაციას, 45%–ია. აღსანიშნავია ისიც, რომ კახეთში ინფორმაციას უფრო ხშირად იღებენ ქართულად და

თურქულად, ვიდრე ქვემო ქართლში. ამ უკანასკნელში ინფორმაციის მიღების ძირითადი ენა აზერბაიჯანულია (იხ. ცხრილი №20, დიაგრამა №10).

ცხრილი №20

ძირითადად, რა ენაზე იღებთ ინფორმაციას არჩევნების შესახებ (კითხულობთ გაზეთებს, უსმენთ რადიოს, უყურებთ ტელევიზიას და ა.შ)?	აზერბაიჯანული თემი		ქვემო ქართლი (=100%)	კახეთი (=100%)
	<100%	=100%		
ქართულად	45.0%	28.8%	23.6%	35.4%
აზერბაიჯანულად	85.4%	54.6%	66.0%	40.1%
სომხურად	0.1%	0.1%	0.2%	-
თურქულად	11.4%	7.3%	1.6%	14.6%
რუსულად	11.3%	7.2%	8.1%	6.1%
არ ვიღებ ინფორმაციას	0.8%	0.5%	0.3%	0.8%
უარი პასუხზე	0.1%	0.1%	0.2%	-
მიჭირს პასუხის გაცემა	2.2%	1.4%	0.2%	3.0%

დიაგრამა №10



რესპონდენტების სრულ უმრავლესობას ურჩევნია ინფორმაცია არჩევნების შესახებ აზერბაიჯანულ ენაზე მიიღოს (იხ.დიაგრამა №11).

დიაგრამა №11



რეგიონების მიხედვით მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიღება კახეთში გაცილებით უფრო ხშირად ურჩევნიათ ქართულად, ვიდრე ქვემო ქართლში (იხ. ცხრილი №21).

ცხრილი №21

რომელ ენაზე გირჩევნიათ მიიღოთ ინფორმაცია არჩევნების შესახებ?	ქვემო ქართლი	კახეთი
ქართულად	2.2%	15.2%
აზერბაიჯანულად	88.8%	80.1%
თურქულად	-	0.3%
რუსულად	0.2%	0.7%
არ მსურს არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიღება	8.0%	0.7%
მიჭირს პ/გ	0.8%	3.0%

ქვემო ქართლსა და კახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას გამოკითხულთა უმრავლესობა საერთოდ არ იცნობს. დაახლოებით მეხუთედი აცხადებს, რომ მათ შესახებ ინფორმაცია მეტ–ნაკლებად აქვთ (იხ.დიაგრამა №12). რეგიონების მიხედვით მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ კახეთისა და ქვემო ქართლის შედეგები, მსგავსია.

დიაგრამა №12



რესპონდენტები მათ ქალაქში/რაიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, ძირითადად, ნეიტრალურად აფასებენ (20.4%). გამოკითხულთა უმრავლესობას გაუჭირდა არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება. შედეგების პროცენტული მაჩვენებლების გარდა, შეფასების საშუალო მაჩვენებელიც (2.72) ნეიტრალური შეფასების ველშია (იხ. დიაგრამა №13).

დიაგრამა №13



საშუალო მაჩვენებელი (MEAN) – 2.72

რესპონდენტების უმრავლესობას ასევე გაუჭირდა იმის შეფასებაც, თუ რამდენად ახდენენ გავლენას არასამთავრობო ორგანიზაციები მათ ქალაქში/რაიონში/რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. მეათედზე მეტმა აღნიშნა, რომ ასეთი ორგანიზაციების გავლენა მცირეა. მათ მნიშვნელოვან გავლენაზე რესპონდენტების მხოლოდ 8% საუბრობს (იხ.დიაგრამა №14).

დიაგრამა №14



კახეთში გამოკითხული რესპონდენტები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას არ ახდენენ, ვიდრე ქვემო ქართლში. ამასთან ქვემო ქართლში გამოკითხულებს გაცილებით ხშირად უჭირთ შეაფასონ არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა პოლიტიკაზე (იხ. ცხრილი №22).

ცხრილი №22

თქვენი აზრით, რამდენად ახდენს გავლენას არასამთავრობო ორგანიზაციები თქვენს ქალაქში/რაიონში/ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე?	ქვემო ქართლი	კახეთი
ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს	6.4%	10.6%
მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს	8.2%	11.9%
მცირე გავლენას ახდენს	8.8%	16.2%
საერთოდ არ ახდენს გავლენას	4.2%	11.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	72.4%	49.3%

5. პოლიტიკით დაინტერესება და ადგილობრივ სახელისუფლო ორგანოებთან თანამშრომლობა

საქართველოს აზერბაიჯანული თემის გამოკვეთილი უმრავლესობა (71,7%) აცხადებს, რომ პოლიტიკით დაინტერესებული არ არის. პოლიტიკით დაინტერესებული გამოკითხულთა მხოლო 23%-ია. 7%-ს უჭირს პასუხის გაცემა, არის თუ არა დაინტერესებული პოლიტიკით.

პოლიტიკის დაინტერესების თვალსაზრისით ქვემო ქართლსა და კახეთის რაიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელ ქალებს შორის განსხვავება არ იკვეთება, ორივე შემთხვევაში პოლიტიკით დაინტერესების პროცენტული მაჩვენებელი დაბალია და 13-16%-ს შეადგენს. თუმცა, ქვემო ქართლსა და კახეთის რაიონებში მცხოვრები აზერბაიჯანელი კაცების პოლიტიკის დაინტერესების მაჩვენებელი განსხვავდება. კერძოდ, პოლიტიკით დაინტერესებული ქვემო ქართლში მცხოვრები კაცების 16%, მაშინ როცა კახეთის ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში მცხოვრები კაცების 51%-ს აინტერესებს პოლიტიკა (იხ. დიაგრამა #15):

დიაგრამა #15



დაახლოებით ყოველი მეორე გამოკითხული როგორც ქვემო ქართლის, ისე კახეთის აზერბაიჯანული თემებიდან აცხადებს, რომ მათი რეგიონის გუბერნატორის ოფისის

საქმიანობასა და მოვალეობებს თითქმის არ იცნობს. იგივე პოზიცია აქვთ ორივე თემის რესპონდენტთა დაახლოებით 40%-ს მათი რაიონების გამგეობებისა და საკრებულოების მიმართ. ყველაზე ცნობადი ინსტიტუტი ადგილობრივ მმართველობაში სოფლის რწმუნებული აღმოჩნდა (ორივე თემში კარგად იცნობს დაახლოებით 40%).

აღსანიშნავია განსხვავებები ქვემო ქართლისა და კახეთის აზერბაიჯანულენოვან თემებს შორის: კახეთის თემში შედარებით მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებსაც ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის დონის შეფასება უჭირთ (განსაკუთრებით გუბერნატორის ოფისთან მიმართებაში). მეორე მხრივ, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების საგრძნობლად მეტი რაოდენობა (კახეთთან შედარებით) მიუთითებს, რომ კარგად იცნობენ გუბერნატორის ოფისის, გამგეობებისა და საკრებულოების საქმიანობასა თუ მოვალეობებს (იხ. ცხრილი #23):

ცხრილი #23

რამდენად კარგად იცნობთ შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობასა და მოვალეობებს?		**ქვემო ქართლის თემი**	**კახეთის თემი**
რეგიონის გუბერნატორის ოფისი	ვიცნობ კარგად	19.2%	1.3%
	მეტ-ნაკლებად ვიცნობ	12.6%	12.6%
	ცუდად ვიცნობ	8.6%	7.9%
	საერთოდ არ ვიცნობ	51.0%	50.3%
	მიჭირს პასუხის გაცემა	8.6%	27.8%
რეგიონის გამგეობა	ვიცნობ კარგად	30.8%	9.4%
	მეტ-ნაკლებად ვიცნობ	10.3%	22.7%
	ცუდად ვიცნობ	12.8%	14.4%
	საერთოდ არ ვიცნობ	38.6%	39.0%
	მიჭირს პასუხის გაცემა	7.4%	14.4%
რაიონის საკრებულო	ვიცნობ კარგად	19.4%	5.8%
	მეტ-ნაკლებად ვიცნობ	18.6%	22.5%
	ცუდად ვიცნობ	16.1%	15.3%
	საერთოდ არ ვიცნობ	39.0%	42.9%
	მიჭირს პასუხის გაცემა	6.8%	13.5%
სოფლის რწმუნებული	ვიცნობ კარგად	43.7%	40.1%
	მეტ-ნაკლებად ვიცნობ	24.6%	37.3%
	ცუდად ვიცნობ	15.5%	5.7%
	საერთოდ არ ვიცნობ	10.1%	10.4%
	მიჭირს პასუხის გაცემა	6.1%	6.5%

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას ძირითადად საერთოდ არ იცნობს ან ცუდად იცნობს, თვითმმართველობის ორგანოების სხვადასხვა წარმომადგენელთა მიმართ მათი მათი ნდობის მაჩვენებელი ნეიტრალური (Mean = 3) ან ნეიტრალურზე მაღალი (Mean < 3-ზე) შეფასების ველში ექცევა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კახეთის თემში ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობის ნაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე ქვემო ქართლის თემში (იხ. ცხრილი #24):

ცხრილი #24:

რამდენად ენდობით თქვენი რეგიონის/ქალაქის/რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს?	ქვემო ქართლი (MEAN)	კახეთი (MEAN)
თქვენი რეგიონის გუბერნატორი	3.3	3.0
თქვენი ქალაქის მერი	3.7	
თქვენი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე	3.4	
თქვენი რაიონის გამგებელი	3.8	3.3
თქვენი რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე	3.7	3.0
თქვენი სოფლის რწმუნებული	3.9	3.9

შენიშვნა: ნდობის მაჩვენებლები შეფასდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვენდობი“, ხოლო 5 – „სრულიად ვენდობი“. სკალოს ნეიტრალური პუნქტია 3. საშუალო მონაცემები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია, შეესაბამება უნდობლობის ველს, ხოლო 3-ზე მეტი - ნდობის ველს.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ადგილობრივ დონეზე ***გადაწყვეტილების მიღების პროცესში აზერბაიჯანელი მოსახლეობის ჩართვის დონე დაბალია.*** ორივე რეგიონის თემებში გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (მერყეობს 38%-60%-ის ფარგლებში) აცხადებს, რომ თვიმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის შეხვედრები თითქმის არასოდეს იმართება არც ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების, არც რაიონის/ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის და არც სოციალური საკითხების მოგვარების თაობაზე.

ერთადერთი საკითხი, რომელშიც ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა, სხვა საკითხებთან შედარებით, მეტ-ნაკლებად აქტიურად თანამშრომლობს, ***არჩევნებთან დაკავშირებული თემებია.***

ეს ნიშნავს, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობის დაუინტერესებლობა პოლიტიკისადმი საკვლევ რეგიონებში არსებული პოლიტიკური ვითარებითაა გაპირობებული. ჩანს, რომ ***მოსახლეობა ვერ ახორციელებს ე.წ. „რეალურ თვითმმართველობას“ და წარმოადგენს პასიურ საარჩევნო ძალას, რომელთან კომუნიკაციაშიც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელები მხოლოდ საარჩევნო საკითხებთან მიმართებით შედიან.***

აღსანიშნავია განსხვავებები ქვემო ქართლის და კახეთის აზერბაიჯანულ თემებს შორის: ქვემო ქართლის თემში ადგილობრივ პოლიტიკაში მონაწილეობის შესახებ უფრო მეტი რესპონდენტი მიუთითებს, ვიდრე კახეთის თემში; მაგალითად, ქვემო ქართლში გამოკითხულთა 19%-მდე აცხადებს, რომ მიუღია მონაწილეობა (ხშირად ან სისტემატურად) რაიონის/ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრასთან

დაკავშირებით შეხვედრებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მაშინ როდესაც კახეთის თემში იგივეს მხოლოდ 5% ადასტურებს; აგრეთვე, ქვემო ქართლის მოსახლეობის 17.4% მიუთითებს სოციალური საკითხების მოგვარებაზე მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობაზე (ხშირად ან სისტემატურად), მაშინ როდესაც კახეთის თემში ამას მხოლოდ 6% აღნიშნავს და ა.შ.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები იხ. ცხრილში #25:

ცხრილი #25

ხდება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის შეხვედრები შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად:		ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი
ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება	სისტემატურად	2.4%	0.7%
	ხშირად	12.4%	3.6%
	ზოგჯერ	10.8%	20.2%
	თითქმის არასდროს	43.2%	47.4%
	მიჭირს პასუხის გაცემა	31.2%	28.1%
რაიონის/ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა	სისტემატურად	4.6%	0.3%
	ხშირად	14.2%	4.6%
	ზოგჯერ	16.0%	20.5%
	თითქმის არასდროს	37.8%	49.3%
	მიჭირს პასუხის გაცემა	27.4%	25.2%
სოციალური საკითხების მოგვარება	სისტემატურად	2.2%	1.0%
	ხშირად	15.2%	5.0%
	ზოგჯერ	15.2%	21.9%
	თითქმის არასდროს	45.6%	48.7%
	მიჭირს პასუხის გაცემა	21.8%	23.5%
სასოფლო-სამეურნეო საკითხების მოგვარება	სისტემატურად	3.6%	0.7%
	ხშირად	13.6%	5.0%
	ზოგჯერ	21.0%	25.5%
	თითქმის არასდროს	40.4%	47.0%
	მიჭირს პასუხის გაცემა	21.4%	21.9%
ეთნიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება	სისტემატურად	1.0%	1.0%
	ხშირად	13.8%	2.0%
	ზოგჯერ	12.6%	15.9%
	თითქმის არასდროს	46.4%	59.3%
	მიჭირს პასუხის გაცემა	26.2%	21.9%
არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება	სისტემატურად	4.0%	2.3%
	ხშირად	17.8%	14.6%
	ზოგჯერ	17.0%	32.1%
	თითქმის არასდროს	36.8%	29.8%
	მიჭირს პასუხის გაცემა	24.4%	21.2%

6. აზერბაიჯანულ თემში არსებული მწვავე პრობლემები

საკვლევი თემებისთვის მწვავე პრობლემების შეფასება განხორციელდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს, რომ „პრობლემა საერთოდ არ არის მწვავე“, ხოლო 5 – „ძალზე მწვავეა“. სკალის ნეიტრალური წერტილია 3. საშუალო მაჩვენებლები (Mean), რომლებიც 3-ზე მეტია, ამა თუ იმ პრობლემის სიმწვავეს შეესაბამება, ხოლო 3- ნაკლები მაჩვენებლები - პრობლემათა არასიმწვავეს.

როგორც ქვემო ქართლის, ისე კახეთის აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მწვავე პრობლემებია (Mean < 4-ზე):

- სამუშაო ადგილების არარსებობა (Mean = 4.5)
- სპორტული წრეების არარსებობა (Mean = 4.4)
- სახელოვნებო წრეების არარსებობა (Mean = 4.4)
- გართობის კერები (კინო, თეატრი და სხვ.) (Mean = 4.3)
- საგანმანათლებლო-შემეცნებითი დაწესებულებები (ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვ.) (Mean = 4.3)
- სკოლამდელი დაწესებულებების (ბაგა-ბაღი) მუშაობა (Mean = 4.3)
- ფინანსების არსებობა (Mean = 4.2)

ჩანს, რომ სამუშაო ადგილების არარსებობასა და ფინანსურ პრობლემებთან ერთად რეგიონის მოსახლეობისთვის განსაკუთრებულად მწვავე პრობლემას რეგიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა წარმოადგენს.

ორივე თემისთვის მოგვარებულ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება:

- ელექტროენერგიით მომარაგება (Mean = 2.6)
- პენსიების გაცემა (Mean = 2.7)
- საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული პრობლემები (Mean = 2.8)

დამატებით, ქვემო ქართლის თემისთვის მოგვარებულ პრობლემას წარმოადგენს მიწის დამუშავება/სასოფლო სამეურნეო იარაღებით/თესლით და შხამ-ქიმიკატებით უზრუნველყოფა (Mean = 2.9), ხოლო კახეთის თემი არ უჩივის უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფას (Mean = 2.9).

აღსანიშნავია განსხვავებები ქვემო ქართლის და კახეთის თემებს შორის: აღმოჩნდა, რომ ***კახეთის აზერბაიჯანულ თემს გაცილებით ბევრი პრობლემა აქვს მოუგვარებელი ქვემო ქართლის თემთან შედარებით*** (როგორც ამას თავად თემის წარმომადგენლები აღიქვამენ); მაგალითად, კახეთის თემისთვის გაცილებით მწვავე პრობლემებს წარმოადგენს: სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, გაზით მომარაგება, ნაგვის გატანა, სახნავ-სათესი მიწით უზრუნველყოფა, მიწის დამუშავება და შხამ-ქიმიკატებით უზრუნველყოფა, გზების მოწესრიგება, გარე განათება, სასკოლო

ნივთებით უზრუნველყოფა და უმაღლესი განათლების მიღება. რაც შეეხება ქვემო ქართლის თემს, ის კანალიზაციის მუშაობას უფრო მეტად უჩივის, ვიდრე კახეთის თემი.

დეტალურად შედეგები მოცემულია ცხრილში #26:

ცხრილი #26

რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები თქვენი დასახლებისთვის?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
	საშუალო მაჩვენებლები (Mean)		
სასმელი წყლით მომარაგება	3.6	4.3	3.8
სარწყავი წყლით მომარაგება	4.0	4.7	4.3
გაზით მომარაგება	3.6	4.2	3.8
ელექტროენერგიით მომარაგება	2.6	2.5	2.6
ნაგვის გატანა	3.7	4.1	3.9
სახნავ-სათესი მიწით უზრუნველყოფა	3.0	4.1	3.5
მიწის დამუშავება/სასოფლო სამეურნეო იარაღებით/თესლით და შხამ-ქიმიკატებით უზრუნველყოფა	2.9	4.2	3.4
საშინაო ცხოველების/ფრინველების მოშენება	3.0	3.0	3.0
საშინაო ცხოველების/ფრინველების გამოკვება	3.0	3.2	3.1
საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული პრობლემები	2.8	2.9	2.8
გზების მოწესრიგება	3.5	4.7	4.0
გარე განათება	3.6	4.4	3.9
კანალიზაციის მუშაობა	4.1	3.6	3.9
პენსიების გაცემა	2.8	2.5	2.7
სოციალური დახმარებების გაცემა	3.2	3.5	3.3
ტრანსპორტის მუშაობა	3.0	2.6	2.8
უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	3.1	2.9	3.0
სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა	3.6	4.0	3.8
გართობის კერები (კინო, თეატრი და სხვ.)	4.2	4.4	4.3
საგანმანათლებლო-შემეცნებითი დაწესებულებები (ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვ.)	4.2	4.5	4.3
სკოლამდელ იდაწესებულებების (ბაგა-ბაღი) მუშაობა	4.4	4.2	4.3
სამუშაო ადგილების არსებობა	4.4	4.7	4.5
ფინანსების არსებობა	4.3	4.2	4.2
საკვებით უზრუნველყოფა	3.6	3.2	3.4
ტანსაცმლით უზრუნველყოფა	3.5	3.2	3.4
საშუალო განათლების მიღება	3.5	3.6	3.5

რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები თქვენი დასახლებისთვის?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
	საშუალო მაჩვენებლები (Mean)		
სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა	3.4	4.0	3.6
უმაღლესი განათლების მიღება	3.8	4.5	4.0
სპორტული წრეების არსებობა	4.2	4.6	4.4
სახელოვნებო წრეების არსებობა	4.3	4.5	4.4
შეკრებების/დემონსტრაციების ორგანიზება	3.8	3.9	3.9

როგორც ქვემო ქართლის, ისე კახეთის თემების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ საცხოვრებელ ადგილას როგორც ქართველების, ისე ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები დაცულია (დაცულობის საკითხი დადებითი შეფასების ველში ექცევა, ანუ Mean < 3-ზე). თუმცა, აღსანიშნავია ერთი განსხვავება თემებს შორის: კახეთის აზერბაიჯანულ თემში აზერბაიჯანელთა უფლებების დაცვას გაცილებით ნაკლები ენთუზიაზმით მიუთითებენ, ვიდრე ქვემო ქართლის თემში (იხ. ცხრილი #27):

ცხრილი #27

თქვენს რაიონში/ქალაქში რამდენად დაცულია ქვემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფების უფლებები?	ქვემო ქართლის თემი (Mean)	კახეთის თემი (Mean)	აზერბაიჯანული თემი (Mean)
აზერბაიჯანელები	4.7	3.7	4.3
ბერძნები	4.6	5.0	4.6
რუსები	4.7	4.4	4.7
სომხები	4.5	4.3	4.5
ქართველები	4.9	4.5	4.8

შენიშვნა: უფლებათა დაცულობა შეფასდა 5 ქულიან სკალაზე: 1 - სართოდ არ არის დაცული, 5 - ძალზე დაცულია.

7. არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები

7.1. მნიშვნელოვანი ფაქტორები არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად და მათი უზრუნველყოფა

გამოკითხვა ითვალისწინებდა, *ზოგადად,* სხვადასხვა ფაქტორის მნიშვნელოვნების გამორკვევას დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად (რესპონდენტებს შესთავაზეს 16 ფაქტორი, თითოეული მათგანის მნიშვნელოვნებას ისინი არკვევდნენ 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „ძალზე უმნიშვნელოა“, ხოლო 5 – „ძალზე მნიშვნელოვანია“. ამ სკალაზე ნეიტრალური წერტილია 3. მონაცემები, რომლებიც 3-ზე მეტია (Mean>3), შეესაბამება მნიშვნელოვნების ველს, ხოლო 3-ზე ნაკლები (Mean<3) - არამნიშვნელოვნების ველს).

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ყველა დასახელებული ფაქტორი მნიშვნელოვნების ველში მოექცა (ანუ,Mean>3); თუმცა, შესაძლებელია მაინც გამოიყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები ორივე თემისათვის (Mean≥ 4.4):

- სამართლიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;
- არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამების გაცნობა;
- არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამების გაცნობა მშობლიურ ენაზე;
- არჩევნებში მონაწილე კანდიდატების პირისპირ შეხვედრები მოსახლეობასთან;
- არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების სარეკლამო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და სხვ.) გავრცელება მშობლიურ ენაზე
- არჩევნებში დამკვირვებლებისთვის ხელის არშეშლა;
- არჩევნების დღეს მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველყოფა;
- ამომრჩეველთა ზუსტი საარჩევნო სიების შედგენა.

გამოიკვეთა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი ორივე (ქვემო ქართლის და კახეთის) აზერბაიჯანული თემისთვის: რელიგიური ავტორიტეტების გავლენის შემცირება საარჩევნო პროცესებზე. ეს მიუთითებს, რომ ***რელიგიური ავტორიტეტები აზერბაიჯანული თემისთვის, ამ თემის წევრების წარმოდგენით, არ ქმნიან საფრთხეს დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.***

აღსანიშნავია ზოგიერთი განსხვავებაც ქვემო ქართლის და კახეთის აზერბაიჯანულენოვან თემებს შორის: კახეთის თემი შედარებით ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევს ცესკოს ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარებას ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები მოცემული ცხრილში #28:

ცხრილი #28

	არჩევნებთან დაკავშირებით, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები არჩევნების მაღალ დონეზე (დემოკრატიულად) ჩასატარებლად?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
		საშუალო მაჩვენებლები (Mean)		
1.	სამართლიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა	4.7	4.8	4.8
2.	არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამების გაცნობა	4.7	4.7	4.7
3.	არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამების გაცნობა მშობლიურ ენაზე	4.7	4.5	4.6
4.	არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების სარეკლამო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და სხვ.) გავრცელება	4.1	4.5	4.2
5.	არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების სარეკლამო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და სხვ.) გავრცელება მშობლიურ ენაზე	4.4	4.4	4.4
6.	არჩევნებში მონაწილე კანდიდატების პირისპირ შეხვედრები მოსახლეობასთან	4.5	4.6	4.6
7.	საარჩევნო კომისიების წარმომადგენლობითი დაკომპლექტება	4.3	4.4	4.3
8.	არჩევნებში დამკვირვებლებისთვის ხელის არშეშლა	4.6	4.5	4.6
9.	არჩევნების დღეს მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველყოფა	4.4	4.7	4.5
10.	ამომრჩეველთა ზუსტი საარჩევნო სიების შედგენა	4.2	4.7	4.4
11.	გამოკითხვების ჩატარება ამომრჩეველთა განწყობის გასაგებად	4.1	3.8	4.0
12.	კანდიდატების ბიოგრაფიის და მათი ქონებრივი დეკლარაციისა გაცნობა	3.8	4.0	3.9
13.	არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ	4.2	3.8	4.0
14.	ცესკოს მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ	4.3	3.7	4.1
15	ადგილობრივ არჩევნებში დამოუკიდებელ მაჟორიტარ კანდიდატად მონაწილეობის თავისუფლება	4.2	3.9	4.1
16.	რელიგიური ავტორიტეტების გავლენის შემცირება საარჩევნო პროცესებზე	3.6	3.3	3.5

რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამოეყოთ ხუთი, *მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი* ფაქტორი. რესპონდენტთა მიერ დასახელებულ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებში 16-ივე ზემოაღნიშნული ფაქტორი მონაწილეობს. თუმცა, შემდეგ 5 **ფაქტორს** აღმოაჩნდა ყველაზე მეტი მხარდაჭერა არჩევნების მაღალ დონეზე (დემოკრატიულად) ჩასატარებლად; ამასთან, ბუნებრივია, რომ ისეთ ფაქტორს, როგორიცაა საარჩევნო პროგრამების გაცნობა მშობლიურ ენაზე, უფრო მეტი მხარდამჭერი აღმოაჩნდა ქვემო ქართლის თემში (კახეთის თემთან შედარებით): როგორც ადრე ითქვა,

ქვემო ქართლის თემში ქართული ენის ცოდნის პრობლემა გაცილებით მწვავედ დგას, ვიდრე კახეთის თემში (იხ. დიაგრამა #16):

დიაგრამა #16



გამოკითხვა აჩვენებს, რომ აზერბაიჯანული თემის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს მათ საცხოვრებელ ადგილას აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფაზე. კერძოდ:

1. ქვემო ქართლის თემის 32.4%, ხოლო კახეთის თემის 36.8% აღნიშნავს, რომ მათ საცხოვრებელ ადგილას უზრუნველყოფილია არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამების გაცნობა მშობლიურ ენაზე;
2. ქვემო ქართლის თემის 49.6%, ხოლო კახეთის თემის 45.4% აღნიშნავს, რომ მათ საცხოვრებელ ადგილას უზრუნველყოფილია სამართლიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემო;
3. ქვემო ქართლის თემის 35.4%, ხოლო კახეთის თემის 37.4% აღნიშნავს, რომ მათ საცხოვრებელ ადგილას უზრუნველყოფილია (სრულად ან მეტ–ნაკლებად) არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების სარეკლამო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და სხვ.) გავრცელება მშობლიურ ენაზე;

აღნიშნული ფაქტორების ნაწილობრივ უზრუნველყოფაზე საუბრობს ორივე თემის საშუალოდ მესამედი.

თუმცა, ისეთ ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორთან მიმართებაში, როგორიცაა *არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამების გაცნობა მშობლიურ ენაზე,* გასათვალისწინებელია განსხვავება ქვემო ქართლის და კახეთის აზერბაიჯანული თემების იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს ფაქტორი არ არის უზრუნველყოფილი მათ საცხოვრებელ ადგილას (ქვემო ქართლის თემის 23.4% და კახეთის თემის 16.2%).

ამას გარდა, აზერბაიჯანული თემის საშუალოდ ყოველი მეოთხე წარმომადგენელი (ორივე თემში) მიუთითებს საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ იმ ფაქტორებზე, რომლებიც, მათი აზრით, ***არ არის უზრუნველყოფილი*** მათ საცხოვრებელ ადგილას:

- ცესკოს მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ;
- კანდიდატების ბიოგრაფიის და მათი ქონებრივი დეკლარაციის შესახებ ინფორმაცია.

ეს სწორედ ის ფაქტორებია, რომლებმაც მნიშვნელოვნების სკალაზე (არჩევნების დემოკრატიულად ცატარებისთვის) შედარებით დაბალი მაჩვენებლები დაიმსახურეს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რაიმე ფაქტორის მნიშვნელოვნება და ამ ფაქტორის უზრუნველყოფა ურთიერთგანმაპირობებელი ცვლადებია.
დეტალურად შედეგები იხ. ცხრილში #29:

ცხრილი #29

	უზრუნველყოფილია თუ არა თქვენს ქალაქში/რაიონში/სოფელში ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები?	**ქვემო ქართლის თემი (%)**			**კახეთის თემი (%)**			**აზერბაიჯანული თემი (%)**		
		დიახ	**მეტ-ნაკლებად**	**არა**	**დიახ**	**მეტ-ნაკლებად**	**არა**	**დიახ**	**მეტ-ნაკლებად**	**არა**
1.	სამართლიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემო	49.6	22.0	8.8	45.4	27.8	4.3	48.0	24.2	7.1
2.	არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამების გაცნობა *(ეცნობა თუ არა რესპონდენტი ან მისი ოჯახის წევრი)*	40.6	34.6	12.2	45.0	28.8	5.6	42.3	32.4	9.7
3.	არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების პროგრამები მშობლიურ ენაზე	32.4	30.4	23.4	36.8	27.2	16.2	34.0	29.2	20.7
4.	არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების სარეკლამო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და სხვ.) გავრცელება	42.0	35.8	9.2	46.0	29.5	5.0	43.5	33.4	7.6
5.	არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების სარეკლამო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და სხვ.) გავრცელება მშობლიურ ენაზე	35.4	35.0	8.6	37.4	27.5	14.2	36.2	32.2	10.7

	უზრუნველყოფილია თუ არა თქვენს ქალაქში/რაიონში/სოფელში ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები?	**ქვემო ქართლის თემი (%)**			**კახეთის თემი (%)**			**აზერბაიჯანული თემი (%)**		
		დიახ	**მეტ-ნაკლებად**	**არა**	**დიახ**	**მეტ-ნაკლებად**	**არა**	**დიახ**	**მეტ-ნაკლებად**	**არა**
6.	საარჩევნო კომისიების წარმომადგენლობითი დაკომპლექტება	24.8	34.0	9.8	36.8	24.2	6.6	29.3	30.3	8.6
7.	ამომრჩეველთა ზუსტი საარჩევნო სიების შედგენა	31.4	33.8	7.0	38.4	15.2	16.9	34.0	26.8	10.7
8.	გამოკითხვების ჩატარება ამომრჩეველთა განწყობის გასაგებად	32.8	31.6	13.6	27.8	16.2	29.1	30.9	25.8	19.5
9.	კანდიდატების ბიოგრაფიის და მათი ქონებრივი დეკლარაციის შესახებ ინფორმაცია	23.4	31.0	22.2	25.5	17.2	27.8	24.2	25.8	24.3
10.	არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ	24.4	29.2	21.6	17.2	21.2	32.5	21.7	26.2	25.7
11.	ცესკოს მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნებში ხმის მიცემის, საკუთარი ხმის „დაცვის“ და ა.შ. შესახებ	26.0	24.2	23.0	14.6	21.5	32.1	21.7	23.2	26.4
12.	რელიგიური ავტორიტეტების გავლენის შემცირება საარჩევნო პროცესებზე	30.8	22.6	19.4	26.5	8.9	20.5	29.2	17.5	19.8

შენიშვნა: საკმაოდ დიდია იმ რესპონდენტთა ხვედრილი წილი (უფრო ხშირად 20-30%-ის ფარგლებში, ვისაც გაუჭირდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა; ამასთან, ასეთი კატეგორიის ხვედრითი წილი უფრო მეტია კახეთის აზერბაიჯანულ თემში).

7.2. საარჩევნო პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები; მზაობა სამოქალაქო აქტიურობისთვის ხარვეზიანი არჩევნების შემთხვევაში

აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა (25-33%-ის ფარგლებში) მიუთითეს ფაქტორებზე, რომლებიც, **პირადად მათთვის, მნიშვნელოვან რისკის შემცველია, რათა ხელი შეუშალონ მათ სრულფასოვან ჩართვას საარჩევნო პროცესებში;** ეს ფაქტორებია ფაქტორებია:

- „არჩევნების შემდეგ ჩემი ოჯახის ცხოვრებაში არაფერი იცვლება სასიკეთოდ“;
- „არ მაქვს საშუალება მშობლიურ ენაზე გავეცნო არჩევნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას“;
- „არ მჯერა თავისუფალი არჩევნების, მისი შედეგებს, როგორც წესი, აყალბებენ“.

აღსანიშნავია მნიშვნელოვანი განსხვავება ქვემო ქართლის და კახეთის აზერბაიჯანულ თემებს შორის: ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემი გაცილებით მძაფრად აფასებს სამი დასახელებული რისკ-ფაქტორის უარყოფით გავლენას საარჩევნო პროცესებში მათ სრულფასოვან ჩართვაზე. ეს აჩვენებს, რომ ***ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ თემში გაცილებით დიდი წინაღობები არსებობს საარჩევნო დემოკრატიის განვითარებისთვის, კახეთის თემთან შედარებით.***

დეტალურად შედეგები, საშუალო მაჩვენებლების სახით, იხ. ცხრილში#30:

ცხრილი #30

	რამდენად ხელის შემშლელია თითოეული ფაქტორი პირადად თქვენთვის, რათა საარჩევნო პროცესებში სრულფასოვნად ჩაერთოთ (არჩევნებში მონაწილე პარტიების/კანდიდატების გაცნობა, არჩევნებზე წასვლა, თავისუფლად ხმის მიცემა და სხვ.)?	**ქვემო ქართლის თემი**	**კახეთის თემი**	**აზერბაიჯანული თემი**
		საშუალო მაჩვენებლები (Mean)		
1.	არ ვარ დაინტერესებული პოლიტიკით და, შესაბამისად, არჩევნებით, რომელიც პოლიტიკის ნაწილია	2.6	2.7	2.6
2.	არ ვარ დაინტერესებული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით	2.5	2.7	2.6
3.	არ ვიცი/ცუდად ვიცი ქართული ენა	2.6	2.7	2.6
4.	არ მაქვს საშუალება მშობლიურ ენაზე გავეცნო არჩევნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას	2.9	2.6	2.8
5.	ადგილობრივი ხელისუფლება ახდენს ჩვენზე ზეწოლას და გვიზღუდავს დამოუკიდებლად მოქმედებას	2.3	2.1	2.2
6.	რეგიონში/რაიონში მოქმედი გავლენიანი ბიზნეს კლანები ახდენენ ჩვენზე ზეწოლას და გვიზღუდავენ დამოუკიდებლად მოქმედებას	1.9	1.8	1.8
7.	აზერბაიჯანში მოქმედი გავლენიანი ძალები ახდენენ ჩვენზე ზეწოლას და გვიზღუდავენ დამოუკიდებლად მოქმედებას	1.7	1.5	1.6
8.	*(ეხება ქალ რესპონდენტებს)* ქალი ვარ და ოჯახური ვალდებულებები არ მაძლევს საშუალებას ჩავერთო არჩევნებთან დაკავშირებულ პროცესებში	2.4	2.8	2.5
9.	არ მჯერა თავისუფალი არჩევნების, მისი შედეგებს, როგორც წესი, აყალბებენ	3.0	2.2	2.8

	რამდენად ხელის შემშლელია თითოეული ფაქტორი პირადად თქვენთვის, რათა საარჩევნო პროცესებში სრულფასოვნად ჩაერთოთ (არჩევნებში მონაწილე პარტიების/კანდიდატების გაცნობა, არჩევნებზე წასვლა, თავისუფლად ხმის მიცემა და სხვ.)?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
10.	არ ვენდობი არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსებს	2.8	2.3	2.6
11.	არჩევნების შემდეგ ჩემი ოჯახის ცხოვრებაში არაფერი იცვლება სასიკეთოდ	3.2	2.5	3.0
12.	არჩევნებში არ მონაწილეობენ ჩემი ეროვნების კანდიდატები	2.3	1.9	2.2

შენიშვნა: მოცემულ შემთხვევაშიც შეფასებისთვის გამოყენებულია 5 ქულიანი სკალა, სადაც 1 აღნიშნავს *„საერთოდ არ არის ხელის შემშლელი“*, ხოლო 5 – *„ძალზე ხელისშემშლელია“;* მოცემულ სკალაზე ნეიტრალური წერტილია 3. მონაცემები, რომლებიც 3-ზე მეტია, შეესაბამება მნიშვნელოვნების ველს, ხოლო, 3-ზე ნაკლები მონაცემები - არამნიშვნელოვნების ველს.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის, დიაგრამაზე # მოტანილია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებმაც ზემოხსენებული 3 სარისკო ფაქტორის შეფასებისას ამოირჩიეს მაღალი რისკის აღმნიშვნელი ქულები (5 ან 4): დეტალურად მონაცემები იხ. დიაგრამაზე #17:

დიაგრამა #17: იმათი პროცენტული მაჩვენებლები, ვინც აირჩია ქულები 4 ან 5



საქართველოს აზერბაიჯანული თემი ავლენს **ინდიფერენტულ დამოკიდებულებას და პასიურია იმ შემთხვევისთვის, თუ არჩევნების სამართლიანად ჩატარებას საფრთხე დაემუქრება.**

შეკითხვაზე: *„მოსახლეობის მხრიდან რა რეაქცია მიგაჩნიათ გამართლებულად იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები ვერ დარწმუნდნენ ადგილობრივი არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში?“*, გამოკითხულთა 35.5% გამოსავალს არჩევნების შედეგებთან შეგუებაში ხედავს, ხოლო რესპონდენტთა მესამედს გაუჭირდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. კვლევა აჩვენებს, რომ სამოქალაქო აქტიურობის მომხრეა რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედი (21.1%); ამათგან, 18.3% მხარს უჭერს არჩევნების შედეგების გასაჩივრებას, ხოლო უფრო რადიკალურ რეაქციას – მასობრივ საპროტესტო აქციებში მონაწილეობას ოლქში/უბანში ხელახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით - მხარს მხოლოდ 2.8% უჭერს.

რესპონდენტთა ასეთი ატიტუდები დადასტურდა პირადად მათი მზაობის შემოწმებისას არჩევნების არასამართლიანად ჩატარების შემთხვევაში: შეკითხვაზე: *„პირადად თქვენ, რას მოიმოქმედებთ იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი შეგეპარათ ადგილობრივი არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში?“*, რესპონდენტთა 51%–მდე პასუხობს, რომ არაფერს არ მოიმოქმედებდა; დამატებით, რესპონდენტთა მეოთხედს გაუჭირდა მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. სამოქალაქო აქტიურობის მზაობა გამოამჟღავნა გამოკითხულთა 25.6%–მა, რომლებმაც შემდეგი მოქმედებების მზადყოფნა გამოხატეს: დეტალურად მონაცემები იხ. დიაგრამაზე #18:

დიაგრამა #18



გამოკითხვა აჩვენებს, რომ არჩევნების არასამართლიანად ჩატარებაზე ამა თუ იმ რეაქციის მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან **არსებითად განსხვავდება ქვემო ქართლის და კახეთის აზერბაიჯანული თემის პოზიციები;** კერძოდ, ქვემო ქართლის თემში გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (67.4%) აცხადებს, რომ არაფერს მოიმოქმედებდა იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი შეეპარება არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში, მაშინ როდესაც იგივე პოზიცია კახეთის აზერბაიჯანული თემის 26.4%-ს აქვს. ამასთან, კახეთის თემის 21.7% აცხადებს, რომ ხელს მოაწერს პეტიციას არჩევნების ხელახლა ჩატარებასთან დაკავშირებით, ხოლო 16.7% სასამართლოში ჩივილის მზადყოფნას გამოთქვამს, მაშინ როდესაც ამგვარი სამოქალაქო აქტივობების მზაობა ქვემო ქართლის თემში მხოლოდ 3.2% და 1.8%-ს აქვს. ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ კახეთის აზერბაიჯანულ თემში გაცილებით მაღალია სამოქალაქო ცნობიერება და სამოქალაქო აქტივობა, ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ თემთან შედარებით (ყოველ შემთხვევაში, არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფის კონტექსტში). დეტალურად მონაცემები იხ. დიაგრამაზე #19:

დიაგრამა #19



7.3. 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მიმართ დამოკიდებულება და ხმის მიცემის განმაპირობებელი ფაქტორები

გამოკითხვა აჩვენებს, რომ როგორც ქვემო ქართლის, ისე კახეთის აზერბაიჯანული თემების გამოკვეთილი უმრავლესობა (68% და 63.8%) აცხადებს, რომ ნამდვილად აპირებს, მონაწილოება მიიღოს 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.[2] იხ. დიაგრამა #20:

[2] ეს გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის არჩევნებამდე. ფაქტია, რომ არჩევნებში რეალური მონაწილეობის მაჩვენებლები დაბალია გამოკითხვაში დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე; თუმცა, ეს არც არის გასაკვირი: იმისთვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის მზაობა (სურვილი) არჩევნებში რეალურ მონაწილეობაში გადაიზარდოს, სხვა დამატებითი მოტივატორებია საჭირო (თუმცა, ეს საკითხი ამ გამოკვლევის თემას სცილდება).

დიაგრამა #20



გამოკითხვა აჩვენებს, რომ კახეთის აზერბაიჯანულ თემში გაცილებით მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვინც 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებს ნდობას უცხადებს (48.7% აცხადებს, რომ ენდობა, ხოლო 11.3% - უფრო ენდობა, ვიდრე არა); ქვემო ქართლის თემში ნდობის მაჩვენებლები იკლებს - 27.8% ენდობა, ხოლო 16% - უფრო ენდობა, ვიდრე არა. ყოველ მეხუთე გამოკითხულს ქვემო ქართლის თემიდან ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს („არც ვენდობი და არც არ ვენდობი“) (იხ. დიაგრამა #21):

დიაგრამა #21



რესპონდენტთა უმრავლესობას (ორივე თემში) უჭირს იმის განსაზღვრა, ჩატარდება თუ 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები უფრო სამართლიანად, თუ უფრო უსამართლოდ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით. თუმცა, ყოველი მეოთხე კახეთის თემში, ხოლო ყოველი მეხუთე - ქვემო ქართლის თემში ფიქრობს, რომ ადგილობრივი არჩევნები ისევე სამართლიანად ჩატარდება, როგორც საპრეზიდენტო არჩევნები (იხ. ცხრილი #31):

ცხრილი #31

	F5. თქვენი აზრით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უფრო სამართლიანად ჩატარდება, თუ უფრო უსამართლოდ?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
1.	უფრო სამართლიანად ჩატარდება, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები	6.6%	22.2%	12.5%
2.	ისევე სამართლიანად ჩატარდება, როგორც საპრეზიდენტო არჩევნები	24.4%	20.2%	22.8%
3.	ისევე უსამართლოდ ჩატარდება, როგორც საპრეზიდენტო არჩევნები	4.4%	0.3%	2.9%
4.	უფრო უსამართლოდ ჩარადება, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები	3.6%	6.0%	4.5%
5.	უარი პასუხზე	17.4%	8.3%	14.0%
6.	მიჭირს პასუხის გაცემა	43.6%	43.0%	43.4%

რესპონდენტთა ერთი ნაწილი ორივე თემში (ვარირებს 21%-დან 37%-მდე) აცხადებს, რომ სრულად ინფორმირებულია არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების შესახებ. საკმაოდ დიდია იმათი რაოდენობა (ვარირებს 18%-დან 44%-მდე), ვინც ამბობს, რომ არ აქვს ინფორმაცია; აღსანიშნავის ერთი განსხვავება: კახეთის თემში უფრო აქვთ ინფორმაციის პარტიების მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატების შესახებ, ვიდრე ქვემო ქართლის თემში (იხ. ცხრილი #32):

ცხრილი #32

	F17. გაქვთ თუ არა ინფორმაცია...	**ქვემო ქართლის თემი**			**კახეთის თემი**		
		სრული	ნაწილობრივი	არ მაქვს	სრული	ნაწილობრივი	არ მაქვს
2	თქვენი რაიონის გამგებლობის კანდიდატების შესახებ	28.8	32.5	24.6	31.2	25.5	43.3
3	იმ პარტიების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ არჩევნებში	24.6	40.0	18.5	27.9	28.6	43.6
4	თქვენი რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატების შესახებ, რომლებიც წარდგენილია პარტიების მიერ	18.5	47.5	21.3	36.6	23.7	39.8
5	თქვენი რაიონის მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატების შესახებ	21.3	41.7	0.0	28.1	35.9	35.9

გამოკითხვა ითვალისწინებდა იმ საკითხის გარკვევას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორი რესპონდენტებისთვის, რათა არჩევნებში მხარი დაუჭირონ ამა თუ იმ კანდიდატს (გამგებლობის, საკრებულოს მაჟორიტარ და ა.შ. კანდიდატებს). (თითოეული ფაქტორის მნიშვნელოვნება ამ შემთხვევაშიც შეფასდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „ძალზე უმნიშვნელოა“, ხოლო 5 – „ძალზე მნიშვნელოვანია“. ამ სკალაზე ნეიტრალური წერტილია 3. მონაცემები, რომლებიც 3-ზე მეტია (Mean>3), შეესაბამება მნიშვნელოვნების ველს, ხოლო 3-ზე ნაკლები (Mean<3) - არამნიშვნელოვნების ველს).

შედეგები აჩვენებს, რომ გამოიკვეთა 5 ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი (Mean > 4-ზე) არჩევნებში მონაწილე კანდიდატისთვის ხმის მისაცემად:

1	საარჩევნო დაპირებები	Mean = 4.4
2	კანდიდატის საარჩევნო პროგრამა	Mean = 4.3
3	კანდიდატის ბიოგრაფია, მისი წარსული გამოცდილება	Mean = 4.3
4	ამ რეგიონის/რაიონის სპეციფიკის ცოდნა	Mean = 4.3
5.	კანდიდატის პირდაპირი შეხვედრები ამომრჩევლებთან	Mean = 4.2

დაბალი მნიშვნელობის ფაქტორად (Mean<3-ზე), რომელიც არ ახდენს კანდიდატის არჩევაზე გავლენას, რესპონდენტები მიიჩნევენ კანდიდატის ფინანსურ კეთილდღეობას (Mean = 2.7-ს). ე.წ. „მარგინალურ“ ფაქტორებად (რომელთა საშუალო მაჩვენებელი ახლოა ნეიტრალურ პუნქტთან - 3) მიჩნეულია კანდიდატის ეთნიკური წარმომავლობა (Mean = 3.1-ს) და კანდიდატის პარტიული კუთვნილება (Mean = 3.2-ს). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ფაქტორს უფრო მეტი „წონა“ აქვს კახეთის თემში, ქვემო ქართლის თემთან შედარებით.

დეტალურად მონაცემები მოცემულია ცხრილში #33:

ცხრილი #33

	F6. რამდენად მნიშვნელოვანი იქნება თქვენთვის სხვადასხვა ფაქტორები არჩევნებში მონაწილე მერობის/გამგებლის ან საკრებულოს ამა თუ იმ მაჟორიტარი კანდიდატისთვის ხმის მისაცემად?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი	აზერბაიჯანული თემი
		საშუალო მაჩვენებლები (Mean)		
1	პარტიული კუთვნილება	3.0	3.7	3.2
2	მისი პიროვნების მიმართ ჩემი პერსონალური დამოკიდებულება (საკუთარი აზრი)	3.8	4.2	4.0
3	პირადი ნაცნობობა (პირადად იცნობს კანდიდატს)	3.5	3.4	3.5
4	მისი საარჩევნო პროგრამა	4.3	4.4	4.3
5	საარჩევნო დაპირებები	4.4	4.4	4.4
6	კანდიდატის ბიოგრაფია, მისი წარსული გამოცდილება	4.4	4.2	4.3
7	ნაცნობების ან ოჯახის წევრების განწყობა კანდიდატის მიმართ	3.8	3.3	3.6
8	კანდიდატის ეთნიკური წარმომავლობა	3.1	3.0	3.1
9	ამ რეგიონის/რაიონის სპეციფიკის ცოდნა	4.4	4.1	4.3
10	ამ რეგიონის/რაიონის ტერიტორიაზე ცხოვრება (ადგილობრივია თუ არა)	3.8	3.7	3.8
11	კანდიდატის პირდაპირი შეხვედრები ამომრჩევლებთან	4.3	4.2	4.2
12	კანდიდატის ფინანსური კეთილდღეობა	2.6	2.8	2.7

7.4. ნდობა არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ჩართული ინსტიტუტების მიმართ

არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ჩართული აქტორების მიმართ ნდობა შეფასდა 5 ქულიან სკალაზე (ქულა 1 – „საერთოდ არ ვენდობი“, ქულა 5 – „სრულიად ვენდობი“). შესაბამისად, ნდობის მაღალი დონე შეესაბამება ქულებს 4 და 5, ნდობის დაბალი დონე – ქულებს 1 და 2, ხოლო ნეიტრალური დონე – ქულას 3).

გამოკითხვა აჩვენებს, რომ აზერბაიჯანულ თემში ნდობის მაღალი მაჩვენებლებით სარგებლობს შემდეგი ინსტიტუტები/აქტორები:

1. ცენტრალური საარჩევნო კომისია – საშუალო მაცვენებელი (Mean) 4.4
2. საოლქო კომისია – ქულა (Mean= 4.2)
3. საუბნო კომისია – ქულა (Mean= 4.1)
4. საერთაშორისო დამკვირვებლები – (Mean= 4.1)
5. დამკვირვებლები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან – (Mean = 4.0)

ნდობის შედარებით დაბალი მაჩვენებლები (თუმცა, არა უნდობლობის ველში გადასული) აქვთ:

- დამკვირვებლებს არჩევნებში მონაწილე პარტიებიდან – საშუალო ქულა 3.7
- ტექნიკურ–ადმინისტრაციულ პერსონალს საარჩევნო უბანზე – (Mean = 3.8)

თუ ამ საკითხთან მიმართებაში ქვემო ქართლის და კახეთის აზერბაიჯანულ თემებს ერთმანეთთან შევადარებთ, იკვეთება მნიშვნელოვანი განსხვავებები: კახეთის თემი არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ჩართულ ყველა აქტორს უფრო ნაკლებ ნდობას უცხადებს, ვიდრე ქვემო ქართლის თემი. ნდობის თვალსაზრისით ეს განსვლა განსაკუთრებით დაუკავშირდა ისეთ აქტორებს, როგორიცაა ტექნიკურ–ადმინისტრაციული პერსონალი საარჩევნო უბანზე და დამკვირვებლები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ცესკოდან და სხვ.

დეტალურად შედეგები იხ. დიაგრამაზე #22:

დიაგრამა #22



7.5. სხვადასხვა აქტივობების მნიშვნელოვნების შეფასება არჩევნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად; ასეთ აქტივობებში მონაწილეობა

როგორც კახეთის, ისე ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემების წარმომადგენლები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან აქტივობებად, არჩევნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, შემდეგ აქტივობებს მიიჩნევენ:

- შეხვედრები კანდიდატებთან (Mean= 4.5)
- ფლაერებისა და ბუკლეტების დარიგება საარჩევნო პროცედურების შესახებ (Mean= 4.3)
- სარეკლამო მასალა არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების შესახებ (სატელევიზო რგოლები, ბანერები ქუჩაში, პლაკატები და სხვ.) (Mean= 4.3)
- ახალგაზრდა ამომრჩეველის (რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში) ინფორმირება არჩევნებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით (Mean= 4.3)

აღსანიშნავია, რომ კახეთის აზერბაიჯანული თემი სხვადასხვა აქტივობების (ზემოაღნიშნულის გარდა) მნიშვნელოვნებას უფრო დაბალ შეფასებებს აძლევს, ვიდრე ქვემო ქართლის თემი. მაგალითად, ცესკოს ვებგვერდზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის თარგმნას და განთავსებას აზერბაიჯანულ ენაზე ქვემო ქართლის თემი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე კახეთის თემი (ეს ისევ ქართული ენის ცოდნის განსხვავებული მდგომარეობით უნდა აიხსნას); აგრეთვე, კახეთის თემი შედარებით უფრო

ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს რეგულარული ბრიფინგების და პრესკონფერენციების გამართვას როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი საარჩევნო კომისიების მიერ და სხვ.

დეტალურად შედეგები იხ. ცხრილში #34:

ცხრილი#34

	F10. რომელი აქტივობები მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის არჩევნების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად?	**ქვემო ქართლის თემი**	**კახეთის თემი**	**აზერბაიჯანული თემი**
		საშუალო მაჩვენებლები (Mean)		
1.	საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ტრენინგები, სემინარები და სხვ.	4.1	4.1	4.1
2.	არჩევნების დღის პროცედურების იმიტაცია	3.8	3.7	3.8
3.	შეხვედრები კანდიდატებთან	4.5	4.6	4.5
4.	შეხვედრები საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან	4.2	3.9	4.1
5.	ფლაერებისა და ბუკლეტების დარიგება საარჩევნო პროცედურების შესახებ	4.3	4.3	4.3
6.	სარეკლამო მასალა არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების შესახებ (სატელევიზო რგოლები, ბანერები ქუჩაში, პლაკატები და სხვ.)	4.3	4.3	4.3
7.	ქალთა ჩართულობისთვის დამატებითი პროექტების განხორციელება	4.1	3.3	3.8
8.	ახალგაზრდა ამომრჩეველის (რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში) ინფორმირება არჩევნებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით	4.3	4.3	4.3
9.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა და ინფორმირება საარჩევნო პროცესის შესახებ	4.2	3.7	4.0
10.	რეგულარული ბრიფინგების და პრესკონფერენციების გამართვა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი საარჩევნო კომისიების მიერ	4.2	3.4	3.9
11.	ცესკოს ვებგვერდზე სიახლეების/მნიშვნელოვანი ინფორმაციის თარგმნა და განთავსება აზერბაიჯანულ ენაზე	4.0	3.4	3.7
12.	ცესკოს ადმინისტრაციის ვებ-გვერდის განახლება მუდმივ რეჟიმში	3.8	3.0	3.5

კახეთის და ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემები ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავდებიან საარჩევნო პროცესებში ჩართვის და არჩევნებთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით. კერძოდ, ***ქვემო ქართლის თემის დიდი უმრავლესობა (85.6%) არცხადებს, რომ არჩევნებთან დაკავშირებულ არცერთ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა***, მაშინ როდესაც კახეთის თემში ამას 36% აღნიშნავს. შესაბამისად, კახეთის აზერბაიჯანულ თემში გამოიკვეთა ორი აქტივობა, რომლებშიც ამ თემის წარმომადგენლებს მონაწილეობა აქვთ მიღებული: 1. შეხვედრები კანდიდატებთან (23.9%) და 2. ფლაერებისა და ბუკლეტების გაცნობა საარჩევნო პროცედურების შესახებ (18%).

აღსანიშნავია, რომ კახეთის თემის 9.3%-ს მონაწილეობა აქვს მიღებული საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო ტრენინგებსა და სემინარებში.

ქვემო ქართლის თემში თითქმის ყველა ჩამოთვლილი აქტივობაში მონაწილეობის ხარისხი პრაქტიკულად ნულოვანია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შეხვედრები არჩევნებში მონაწილე კანდიდატებთან. ამ აქტივობაში მონაწილეობას ადასტურებს ქვემო ქართლის თემის 9%-მდე.

დეტალურად შედეგები მოცემულია ცხრილში #35:

ცხრილი #35

	F11. რომელ აქტივობებში მიგიღიათ მონაწილეობა?	**ქვემო ქართლის თემი**	**კახეთის თემი**	**აზერბაიჯანული თემი**
1.	საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ტრენინგები, სემინარები და სხვ.	1.0%	9.3%	5.0%
2.	არჩევნების დღის პროცედურების იმიტაცია	0.6%	4.1%	2.3%
3.	შეხვედრები კანდიდატებთან	8.9%	23.9%	16.0%
4.	შეხვედრები საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან	0.4%	6.1%	3.1%
5.	ფლაერებისა და ბუკლეტების გაცნობა საარჩევნო პროცედურების შესახებ	2.2%	18.0%	9.7%
6.	ქალთა ჩართულობისთვის დამატებითი პროექტები		1.5%	0.7%
7.	ახალგაზრდა ამომრჩეველის (რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში) საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმირების და არჩევნებში აქტიური ჩართვის მიზნით განხორციელებული პროექტები	0.2%	0.7%	0.4%
8.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმირების და არჩევნებში აქტიური ჩართვის მიზნით განხორციელებული პროექტები	0.2%	0.4%	0.3%
9.	უარი პასუხზე	1.0%		0.5%
10.	არცერთ აქტივობაში არ მიმიღია მონაწილეობა	85.6%	36.0%	62.0%

შენიშვნა: პასუხების პროცენტული ჯამი 100%-ს აჭარბებს, რადგან რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტები, ძირითადად, ძალზე დადებითად აფასებენ არჩევნებთან დაკავშირებულ იმ აქტივობებს, რომლებიც მონაწილეობა აქვთ მიღებული (იხ. ცხრილი #36):

ცხრილი #36

	F12. როგორ შეაფასებდით სხვადასხვა აქტივობის ეფექტურობას საარჩევნო პროცესების შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით?	ქვემო ქართლის თემი	კახეთის თემი
		საშუალო მაჩვენებლები (Mean)	
1.	საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ტრენინგები, სემინარები და სხვ.		4.8
2.	არჩევნების დღის პროცედურების იმიტაცია		4.3
3.	შეხვედრები კანდიდატებთან	4.5	4.5
4.	შეხვედრები საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან		4.5
5.	ფლაერებისა და ბუკლეტების გაცნობა საარჩევნო პროცედურების შესახებ		4.4

შენიშვნები:

- ცხრილში შეფასებულია მხოლოდ ის აქტივობები, რომლებშიც მონაწილეობის სიხშირე რამდენადმე წარმომადგენლობითია (ქვედა ზღვარია 4%).
- საშუალო მაჩვენებლები (Mean) დათვლილია 5 ქულიან სკალაზე (1 - ძალზე უარყოფითად; 5 - ძალზე დადებითად). სკალის ნეიტრალური წერტილია 3; მაჩვენებლები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია, შეესაბამება უარყოფითი შეფასების ველს, ხოლო, 3-ზე მეტი - დადებითი შეფასების ველს).

7.6. საარჩევნო გარემოს დევიაციები

საარჩევნო გარემოს დევიაციების შესწავლა მოცემულ კვლევაში ორი მიმართულებით მოხდა:

1. სმენიათ თუ არა რესპონდენტებს არჩევნებთან დაკავშირებული ცალკეული დარღვევების შესახებ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში?
2. გადახდომიათ თუ არა ასეთი შემთხვევები პირადად მათ ან მათი ოჯახის წევრებს?

ბოლო 4 წლიან პერიოდში, საარჩევნო დარღვევების კონტექსტში, რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ შემდეგი არჩევნების წინასაარჩევნო გარემო: ა) 2010 წლის ადგილობრივი არჩევნები; ბ) 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები; გ) 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და დ) 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები.

გამოკითხვამ რამდენიმე საინტერესო შედეგი აჩვენა:

1. შედარებით უფრი გავრცელებულ საარჩევნო დევიაციებს (ორივე თემში) მიეკუთვნება:

- საარჩევო უბანზე აგიტაცია ამა თუ იმ კანდიდატის მხარდასაჭერად (მერყეობს 5 – 17%-ის ფარგლებში სხვადასხვა წლებში);
- მოქალაქეთა დაშინება (შანტაჟი) ამა თუ იმ კანდიდატის მხარდასაჭერად ან ხმის რამდენჯერმე მისაცემად (მერყეობს 4 – 11%-ის ფარგლებში სხვადასხვა წლებში)

2. კახეთის აზერბაიჯანული თემი უფრო ხშირად ასახელებს დევიაციის ცალკეულ შემთხვევებს, ვიდრე - ქვემო ქართლის.
3. საარჩევნო დარღვევების დინამიკა, მართალია, არარსებითად, მაგრამ კლებულობს 2010 წლიდან 2014 წლამდე (კლების დინამიკა მაქსიმუმ 6%-ს აღწევს).

დეტალურად შედეგები მოცემულია ცხრილებში ##37,38:

ცხრილი #37

უკანასკნელი 4 წლის მანძილზე, გსმენიათ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების შესახებ 2010-12-13-14 წლების არჩევნების პერიოდში?	ქვემო ქართლის თემი (%)							კახეთის თემი (%)						
	მსმენია				არ მსმენია	მიჭირს პ/გ	უარი პასუხზე	მსმენია				არ მსმენია	მიჭირს პ/გ	უარი პასუხზე
	2010	2012	2013	2014				2010	2012	2013	2014			
აგიტატორები მოვიდნენ საარჩევნო უბანზე და ამომრჩევლებს უთხრეს, თუ რომელი ნომერი უნდა შემოეხაზათ	11.3	12.2	8.4	5.3	59.8	2.9	0.2	17.1	17.3	15.2	15.0	31.3	3.8	0.4
პარტიებს/კანდიდატს აგიტაცია უწარმოებია საარჩევნო უბანთან არჩევნების დღეს	5.5	12.4	4.0	2.6	72.2	3.1	0.2	11.0	9.5	7.4	7.7	54.1	9.7	0.5
მოქალაქის იძულება (შანტაჟის, დაშინების, დამუქრების გზით) ამა თუ იმ კანდიდატისთვის ხმის მიცემის მიზნით	7.0	7.0	5.5	0.0	76.8	3.4	0.2	4.8	2.5	1.6	1.3	75.9	12.7	1.3
მოქალაქის იძულება (შანტაჟის, დაშინების, დამუქრების გზით), რამდენჯერმე მიეცა ხმა სხვადასხვა (ან ერთი და იმავე) უბანზე	5.6	4.4	0.6	0.6	84.9	3.8	0.2	4.2	2.2	0.6	0.6	75.7	15.3	1.3
რეგისტრაციის დროს კომისიის წევრებმა მოქალაქეს უთხრეს, თუ რომელი ნომერი უნდა შემოეხაზა	2.2	11.0	5.2	1.9	75.8	3.6	0.2	4.7	3.5	0.9	0.9	72.2	16.4	1.3
არჩევნებზე დამკვირვებლების მიმართ განხორციელდა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა	3.8	4.4	0.6	0.0	86.8	4.2	0.2	4.6	3.7	1.9	0.9	74.9	12.7	1.2
რელიგიური ავტორიტეტები ჩართულნი იყვნენ რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერაში	0.0	2.4	2.2	0.2	82.6	10.2	2.4	0.7	0.0	0.0	0.0	76.5	21.5	1.3

ცხრილი #38

უკანასკნელი 4 წლის მანძილზე პირადად თქვენ, ან თქვენი ოჯახის წევრს გადაგხდათ თუ არა ასეთი შემთხვევები 2010-12-13-14 არჩევნების პერიოდში?	ქვემო ქართლის თემი (%)							კახეთის თემი (%)						
	გადამხდა/გადაგვხვდა				არ გადამხდენია/არ გადაგვხვდენია	მიჭირს პ/გ	უარი პასუხი	გადამხდა/გადაგვხვდა				არ გადამხდენია/არ გადაგვხვდენია	მიჭირს პ/გ	უარი პასუხი
	2010	2012	2013	2014				2010	2012	2013	2014			
აგიტატორები მოვიდნენ საარჩევნო უბანზე და მითხრეს მე ან ჩემი ოჯახის წევრს, თუ რომელი ნომერი უნდა შემომეხაზა	9.2	2.4	0.4	3.3	77.4	6.9	0.4	15.3	14.3	12.9	12.7	40.6	3.8	0.4
პარტიებმა/მისმა კანდიდატებმა აგიტაცია აწარმოეს საარჩევნო უბანთან არჩევნების დღეს	5.1	3.4	1.8	1.4	81.0	7.1	0.2	8.4	9.2	6.3	6.1	61.8	7.6	0.5
არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე რეგისტრაციის დროს კომისიის წევრებმა მითხრეს მე ან ჩემი ოჯახის წევრს, თუ რომელი ნომერი უნდა შემომეხაზა	3.6	5.8	0.2	1.6	81.1	7.4	0.4	3.5	2.5	1.3	0.9	76.9	14.2	0.6
მაიძულეს (შანტაჟის, დაშინების, დამუქრების გზით) მე ან ჩემი ოჯახის წევრი ამა თუ იმ კანდიდატისთვის ხმა მიმეცა	4.6	0.4	0.0	0.2	87.6	7.0	0.2	0.6	1.0	0.6	0.6	80.5	15.9	0.6
მაიძულეს (შანტაჟის, დაშინების, დამუქრების გზით) მე ან ჩემი ოჯახის წევრი რამდენჯერმა მიმეცა ხმა სხვადასხვა (ან ერთი და იმავე) უბანზე	0.2	3.0	0.0	0.0	89.8	6.8	0.2	0.6	0.6	0.6	0.6	82.1	14.6	0.6
დავინახე მე ან ჩემი ოჯახის წევრმა, რომ არჩევნებზე დამკვირვებლების მიმართ განხორციელდა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა	0.2	3.0	0.0	0.0	89.8	6.8	0.2	1.0	1.0	0.6	0.6	81.9	14.2	0.6
რელიგიური ავტორიტეტები ჩართულნი იყვნენ რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერაში	2.4			0.2	90.2	7.0	0.2	0.0			0.0	84.4	14.9	0.7

8. განწყობები და მოლოდინები საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა და ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან, უნდა დაეფიქსირებინათ მათი დამოკიდებულებები საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით. გამოკითხულებს შეფასება უნდა განეხორციელებინათ ხუთ ბალიან სკალაზე, სადაც 5 ქულა ნიშნავდა „სრულიად ვეთანხმები"–ს, 1 ქულა – „საერთოდ არ ვეთანხმების", ხოლო 3 ქულა მიუთითებდა ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე. ანალიტიკური დაჯგუფებისას გაერთიანდა პასუხები „საერთოდ არ ვეთანხმები" და „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები" (შეფასების სკალაზე 1 და 2 ქულა), და „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები" და „სრულიად ვეთანხმები" (შეფასების სკალაზე 4 და 5 ქულა).

აღმოჩნდა, რომ ეთნიკურობის საფუძველზე ჩაგვრა არ განუცდია გამოკითხულთა 69%–ს, ამ უკანასკნელზე გამოკითხულთა მხოლოდ მეათედი საუბრობს. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ ხელისუფლება ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში. 53.2% მიიჩნევს, რომ მისი ხმა არჩევნებზე მნიშვნელოვანია. თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ზრუნავენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში. თითქმის ყოველი მეორე ამბობს, რომ არ ეშინია/ერიდება საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას (იხ. ცხრილი №39).

გამოკითხულთაგან უმრავლესობა ამბობს, რომ მათთვის არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეობრივი მოვალეობაა. შეფასების საშუალო მონაცემების მიხედვითაც აღნიშნული დებულების საშუალო შეფასების დადებით ველშია.

საშუალო შეფასების უარყოფით ველში (დებულებები, რომელთაც რესპონდენტები, ძირითადად, არ ეთანხმებიან) რამდენიმე დებულების შემთხვევაშია. ეს დებულებებია:

- ✓ ვფიქრობ, რომ ხშირად გვჩაგრავენ ეთნიკურობის საფუძველზე, ხშირად ვაწყდებით უსამართლობას ჩვენი წარმომავლობისა და გვარის გამო (საშუალო – 1.8);
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში (საშუალო – 2.2);
- ✓ ხელისუფლება არ ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში (საშუალო – 2.4);
- ✓ ჩემი ხმა არჩევნებზე მაინც არაფერს შეცვლის (საშუალო – 2.4).

ცხრილი №39

დებულება	ქულა				საშუალო ქულა
	1 და 2 ქულა	3 ქულა	4 და 5 ქულა	მიჭირს პ/გ	
ვფიქრობ, რომ ხშირად გვჩაგრავენ ეთნიკურობის საფუძველზე, ხშირად ვაწყდებით უსამართლობას ჩვენი წარმომავლობისა და გვარის გამო	69.0%	14.5%	10.3%	6.2%	1.80
ხელისუფლება არ ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში	54.5%	17.7%	21.3%	6.5%	2.36
არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში	49.8%	20.1%	14.6%	15.6%	2.19
ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეობრივი მოვალეობაა	18.7%	12.5%	58.6%	10.2%	3.83
ჩემი ხმა არჩევნებზე მაინც არაფერს შეცვლის	53.2%	13.8%	23.7%	9.2%	2.36
ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე უფრო მაღალია ჩვენი ინტერესი, რადგან ეს არჩევნები ჩვენს რეგიონს და მის მომავალს ეხება	28.6%	14.5%	44.5%	12.5%	3.33
ქალი დეპუტატის ყოლა ქალებში პოლიტიკისადმი მეტ სტიმულსა და ინტერესს გამოიწვევდა	32.8%	15.6%	40.5%	11.1%	3.18
ქალი დეპუტატი ისეთივე წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებსა და რეგიონის/ქალაქის/სოფლის პრობლემებს, როგორც კაცი დეპუტატი	31.9%	16.8%	42.4%	8.9%	3.20
სასურველია, თუ მაჟორიტარობის კანდიდატები (პარტიული ან დამოუკიდებელი) იქნებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ან/და ადგილობრივები	23.3%	25.3%	39.3%	12.1%	3.30
სასურველია, თუ ქალაქის/რაიონის გამგებლობის კანდიდატები იქნებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ან/და ადგილობრივები	25.3%	23.6%	41.0%	10.1%	3.33
მეშინია/ვერიდები საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას	49.1%	15.6%	23.4%	11.8%	2.39

რეგიონების მიხედვით განსხვავებები მცირეა. ქვემო ქართლში ჩამოთვლილი დებულებებიდან არცერთი აღმოჩნდა შეფასების დედებით ველში, ხოლო უარყოფითში აღმოჩნდა მხოლოდ 2 დებულება:

- ✓ ვფიქრობ, რომ ხშირად გვჩაგრავენ ეთნიკურობის საფუძველზე, ხშირად ვაწყდებით უსამართლობას ჩვენი წარმომავლობისა და გვარის გამო;
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში.

ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტები ქვემო ქართლში არ ფიქრობენ, რომ მათ ჩაგრავენ ეთნიკურობის საფუძველზე. ისინი, ასევე, არ მიიჩნევენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავენ მათ ინტეგრაციაზე საზოგადოებაში. დანარჩენი დებულებების საშუალო ქულა 2.5-3.5-ს შორის მერყეობს, რაც შეფასების საშუალო ველია.

რაც შეეხება კახეთში გამოკითხულ რესპონდენტებს, აქ სურათი განსხვავებულია, კერძოდ, შეფასების დადებით ველში მოექცა სამი დებულება:

- ✓ ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეობრივი მოვალეობაა;
- ✓ სასურველია, თუ მაჟორიტარობის კანდიდატები (პარტიული ან დამოუკიდებელი) იქნებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ან/და ადგილობრივები;
- ✓ სასურველია, თუ ქალაქის/რაიონის გამგებლობის კანდიდატები იქნებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ან/და ადგილობრივები.
- ✓ ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტები მეტწილად ეთანხმებიან ზემოთ ჩამოთვლილ სამ დებულებას.

შეფასების უარყოფით ველში კი შემდეგი დებულებები მოხვდა:

- ✓ ვფიქრობ, რომ ხშირად გვჩაგრავენ ეთნიკურობის საფუძველზე, ხშირად ვაწყდებით უსამართლობას ჩვენი წარმომავლობისა და გვარის გამო;
- ✓ ხელისუფლება არ ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში;
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში;
- ✓ ჩემი ხმა არჩევნებზე მაინც არაფერს შეცვლის;
- ✓ მეშინია/ვერიდები საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას.

ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტები არ ეთანხმებიან ჩამოთვლილ დებულებებს და საპირისპირო მოსაზრება აქვთ (იხ. ცხრილი №40).

ცხრილი №40

დებულება	საშუალო მაჩვენებელი (MEAN)	
	ქვემო ქართლი	კახეთი
ვფიქრობ, რომ ხშირად გვჩაგრავენ ეთნიკურობის საფუძველზე, ხშირად ვაწყდებით უსამართლობას ჩვენი წარმომავლობისა და გვარის გამო	1.7	1.9
ხელისუფლება არ ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში	2.5	2.1
არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში	2.1	2.4
ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეობრივი მოვალეობაა	3.5	4.3
ჩემი ხმა არჩევნებზე მაინც არაფერს შეცვლის	2.6	2.0
ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე უფრო მაღალია ჩვენი ინტერესი, რადგან ეს არჩევნები ჩვენს რეგიონს და მის მომავალს ეხება	3.3	3.4
ქალი დეპუტატის ყოლა ქალებში პოლიტიკისადმი მეტ სტიმულსა და ინტერესს გამოიწვევდა	3.3	3.0
ქალი დეპუტატი ისეთივე წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებსა და რეგიონის/ქალაქის/სოფლის პრობლემებს, როგორც კაცი დეპუტატი	3.2	3.2
სასურველია, თუ მაჟორიტარობის კანდიდატები (პარტიული ან დამოუკიდებელი) იქნებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ან/და ადგილობრივები	3.1	3.7
სასურველია, თუ ქალაქის/რაიონის გამგებლობის კანდიდატები იქნებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ან/და ადგილობრივები	3.1	3.8
მეშინია/ვერიდები საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას	2.6	2.1

ქალ რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ის დებულებები, რომლებიც ეხებოდა ოჯახში გენდერული როლების გადანაწილებას საარჩევნო პროცესთან მიმართებით. გამოკითხულებს შეფასება უნდა განეხორციელებინათ ხუთ ბალიან სკალაზე, სადაც 5 ქულა ნიშნავდა „სრულიად ვეთანხმები"–ს, 1 ქულა – „საერთოდ არ ვეთანხმების", ხოლო 3 ქულა მიუთითებდა ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე. ანალიტიკური დაჯგუფებისას გაერთიანდა პასუხები „საერთოდ არ ვეთანხმები" და „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები" (შეფასების სკალაზე 1 და 2 ქულა), და „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები" და „სრულიად ვეთანხმები" (შეფასების სკალაზე 4 და 5 ქულა).

აღმოჩნდა, რომ საშუალოების მიხედვით, შეფასების უარყოფით ველში სამი დებულება განაწილდა:

- ✓ არჩევნებზე იშვიათად დავდივარ, რადგან ჩემი ოჯახის პოლიტიკურ არჩევანს ჩემი მეუღლე (ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში) აფიქსირებს ხოლმე (საშუალო – 2.4);
- ✓ თუ საარჩევნო ბიულეტენში ჩემი მეუღლისგან (ან ოჯახის სხვა მამაკაცი წევრისგან) განსხვავებულ არჩევანს დავაფიქსირებ, ის გაბრაზდება (საშუალო – 2.3);
- ✓ ჩემი მეუღლე (ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში) იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვის უნდა მივცე ხმა არჩევნებზე (საშუალო – 2.3).

საშუალოების მიხედვით, შეფასების დადებით ველში არცერთი დებულება არ აღმოჩნდა, ხოლო ნეიტრალურ ველში სამი დებულებაა:

- ✓ მე შემიძლია სოციოლოგიურ გამოკითხვებში (პოლიტიკური პროცესების შესახებ) მონაწილეობა მივიღო მაშინაც კი, როდესაც ჩემი ქმარი (ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში) სახლშია (საშუალო: 2.9);
- ✓ კაცები ჩემს ოჯახში უკეთ ერკვევიან პოლიტიკაში, ვიდრე მე, რადგან მე, როგორც ქალს, არ მომეთხოვება პოლიტიკის შესახებ რაიმეს ცოდნა (საშუალო: 2.9);
- ✓ არჩევნებთან დაკავშირებით ჩემს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მეუღლეს (ან სხვა მამაკაც წევრს ოჯახში) ვუთანხმებ ხოლმე (საშუალო – 2.7).

ცხრილი №41

დებულება (კითხვები ეხება მხოლოდ ქალ რესპონდენტებს, რომელთაც ჰყავთ მეუღლე ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში)	ქულა				საშუალო ქულა
	1 და 2 ქულა	3 ქულა	4 და 5 ქულა	მიჭირს პ/გ	
მე შემიძლია სოციოლოგიურ გამოკითხვებში (პოლიტიკური პროცესების შესახებ) მონაწილეობა მივიღო მაშინაც კი, როდესაც ჩემი ქმარი (ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში) სახლშია	32.3%	14.5%	30.3%	22.9%	2.94
კაცები ჩემს ოჯახში უკეთ ერკვევიან პოლიტიკაში, ვიდრე მე, რადგან მე, როგორც ქალს, არ მომეთხოვება პოლიტიკის შესახებ რაიმეს ცოდნა	31.3%	15.8%	30.6%	22.3%	2.93
არჩევნებთან დაკავშირებით ჩემს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მეუღლეს (ან სხვა მამაკაც წევრს ოჯახში) ვუთანხმებ ხოლმე	35.2%	18.4%	23.2%	23.2%	2.71
არჩევნებზე იშვიათად დავდივარ, რადგან ჩემი ოჯახის პოლიტიკურ არჩევანს ჩემი მეუღლე (ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში) აფიქსირებს ხოლმე	42.3%	16.1%	18.4%	23.2%	2.43
თუ საარჩევნო ბიულეტენში ჩემი მეუღლისგან (ან ოჯახის სხვა მამაკაცი წევრისგან) განსხვავებულ არჩევანს დავაფიქსირებ, ის გაბრაზდება	45.8%	13.2%	17.7%	23.2%	2.30
ჩემი მეუღლე (ან სხვა მამაკაცი წევრი ოჯახში) იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვის უნდა მივცე ხმა არჩევნებზე	46.1%	12.9%	19.4%	21.6%	2.35